პროლეტარებო ყველა ქვეყნისა; შეერთდით!

ფელიეტონი პირველი

ფოიქბე

შაბათი ოქტ. 22. 1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 18 ოფიციალური ორგანო. № 18

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ეოფ—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6 90.

რედაქცია დიაა: ყოველ დღე დილის 9 ს.—2 საათამდე.

რედაქტორის ნახვა შეიძლება 12 ს.—2 საათამდე.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი № 75

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა
საქციზო გადასახადის შესახებ.

საქციზო წესდებისა და მის დამატებათა საერთოდ მოქმედების შესაცვლელად, დასამტკიცებლად და გასაუქმებლად—დადგენილ იქნეს შემდეგი:

1. გაუქმებულ იქნას შაქრისა (რაფინადი და ფხვნილი), კიროსინისა და ნავთის სხვა პროდუქტების საქციზო გადასახადი.

2. გაუქმდეს ფოთოლ-თამბაქოს სახელმწიფო მონოპოლია.

3. გაუქმდეს ფოთოლ-თამბაქოს საფუთო გადასახადი.

4. გაუქმდეს თამბაქოს ნაწარმოების სატარიფო სისტემა აქციზის გადასახადისა და სამაგიეროდ შემოღებულ იქნეს თამბაქოს დამზადებულ ნაწარმოებისათვის საფუთო გადასახადი, რომელიც გადებულ უნდა იქნეს ამ ნაწარმოების ფაბრიკიდან გამოშვების დროს.

5. შემოღებულ იქნეს,—თამბაქოს ნაწარმოების სხვა და სხვა ხარისხისათვის არსებული ბანდეროლების ნაცვლად,—ორგვარი უფასო ბანდეროლი: პაპიროსისა და მოსაწევი თამბაქოსათვის.

6. გადიდებულ იქნეს, თანახმად ამასთანავე დართული განაწერისა და სატარიფო ცხრილისა,—აქციზი და საპატენტო (ძირითადი და დამატებითი) გადასახადი ყოველ,—აქციზ-დასადები—საგნის წარმოებისა და ვაჭრობისათვის.

7. შემოღებულ იქნეს აქციზი ადგილობრივი წარმოების (ხოლო არა მოცვის)—ჩაისათვის.

8. ქ. ქ. ტფილისისა, ქუთაისისა, ბათომისა და ფოთისათვის არსებული წესი ღვინის აღრიცხვისა—საქციზო გადასახადის ასაღებად—გავრცელებულ იქნეს საქართველოს სხვა ქალაქებზედაც.

9. დაწესდეს ერთდროული საქციზო გადასახადი ღვინის საიაჭროებისათვის საქართველოს ყველა,—ქალაქ-გარე,—ადგილებში იმ პირობით, რომ გადასახადი ისე გადებულ იქნეს წინდაწინვე პატენტის აღების დროს, თანახმად ამასთანავე დართული სიისა.

10. დაწესებულ იქნეს კონიაკის სიმაგრე ორმოც (40) გრადუსზე არა ნაკლები.

11. ყურძნისა და ხილის მასალისაგან ნორმეულ ქარხნებში გამონახადი სპირტის გაყიდვა და გამოშვება,—საჭირო დოკუმენტების მიხედვით და აქციზის წინდაწინვე გადახდით,—შეიძლება მხოლოდ საბითუმე საწყობებისა და სარექტიფიკაციო ქარხნებისათვის სადაც სპირტი ინახება საქციზო ზედამხედველობით და იხარჯება სათანადო ხელისუფალთა განსაკუთრებული ნებართვის თანახმად.

12. კონიაკის და საკონიაკო სპირტის გაყიდვა და გამოშვება კონიაკის სპეციალური ქარხნებიდან შეიძლება სათანადო საბუთებით მხოლოდ კონიაკის საბითუმე საწყობებისათვის, სადაც სპირტი ინახება საქციზო ზედამხედველობით და იხარჯება სათანადო ხელისუფალთა განსაკუთრებული ნებართვის თანახმად.

13. საქციზო გადასახადის განაკვეთი, თანა-

ხმად არსებული პროპორციული პოცენტული საქციზო გადასახადის კანონისა, გადასინჯულ და შეცვლილ იქნება ფინანსთა კომისრის მიერ არა ადრე ორი თვის ვადისა.

14. სახელმწიფო მამულებსა და ნაციონალიზაციაქმნილ წარმოებაში, თუ იჯარით არ არის ისინი გაცემული, საქციზო გადასახადის ანგარიში უნდა სწარმოებდეს მხოლოდ საბუხჰალტერო წესით.

15. არაპირდაპირ გადასახადთა გამგებლობა ევალება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის არაპირდაპირ გადასახადთა სამმართველოს.

16. მაგარ სასმელთა შესახებ არსებული წესდების 1151 მუხ. I შენიშვნა და 1228 მუხ. II შენიშვნა გაუქმდეს. 1228 მუხლის მეორე ნაწილი გავრცელდეს არა პირდაპირ გადასახადთა სამმართველოს ყოველ მოსამსახურეზე; ამასთანავე ზემოხსენებული 1151 და 1228 მუხლები შეფარდებულ იქნეს იმ შემთხვევებისათვისაც, როდესაც წესდების დარღვევის აღმოჩენა შეეხება სხვა,—აქციზ-დასადებ,—საგნებსაც.

გამოაშკარავებისათვის ჯილდოს განაწილების წესს დაადგენს ფინანსთა კომისარი.

17. ფინანსთა კომისარს უფლება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქციები ამა დეკრეტის განსახორციელებლად.

18. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. **ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე
ბ. ბიბინეიშვილი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი—სასახლე.

---

75 № რის დეკრეტის მე 6 მუხ. დანართი

განაწერი საპატენტო გადასახადისა

I

თამბაქოს პატენტი

1. ადგილობრივ და საზღვარგარეთიდან შემოსულ ფოთოლ-თამბაქოს საბითუმე საწყობებისათვის.

ა) ტფილისში . . . . . 500.000 მან.
ბ) დანარჩენ ადგილებში . . . 250.000 მან.

2. **თამბაქოს ფაბრიკებისათვის:**

ა) ძირითადი—1000 ფუთი თამბაქოს გადამუშავებისათვის ყველგან . . . . 1.000.000 მან.
ბ) დამატებითი—ყოველ შემდეგ 1000 ფუთზე . . . . . 500.000 მან.

3 **წეკოს ფაბრიკებისათვის:**

ა) ძირითადი—1000 ფუთ წეკოზე 150.000 მან.
ბ) დამატებითი—ყოველ შემდეგ 1000 ფუთზე . . . . . 100.000 მან.

შენიშვნა: 1000 ფუთზე ნაკლები თამბაქოს და წეკოს რაოდენობა ჩაითვლება 1000 ფუთად . . . . . .

4. **თამბაქოს ნაწარმოების ადგილობრივ ვაჭრობისათვის:**

ა) ტფილისში და ბათომში . . 500.000 მან.
ბ) ქუთაისში და ფოთში . . . 300.000 მან.
გ) დანარჩენ ადგილებში . . . 150.000 მან,
დ) თამბაქოს ნაწარმოების ვაჭრობა დამტარებლების მიერ . . . . . 50.000 მან.

II.

1. **პაპიროსის გილზისა და პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკებისათვის:**

ა) გილზის ფაბრიკებისათვის პირველ 5 მილიონ გილზზე . . . . . 250 000 მან.
დამატებითი—ყოველ შემდეგ 1 მილიონზე . . . . . 50.000 მან.

2. **პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკებისათვის:**

ა) პირველ 5 მილიონ ფურცელზე 100.000 მან.
ბ) დამატებითი—ყოველ შემდეგ თითო მილიონზე . . . . . 20.000 მან.

შენიშვნა: გილზისა და პაპიროსის ქაღალდის რაოდენობა 5 მილიონზე ნაკლები ჩაითვლება 5 მილიონად, და რაოდენობა 5 მილიონზე მეტი, მაგრამ 1 მილიონზე ნაკლები ჩაითვლება მილიონად.

III

1. **ასანთის ფაბრიკებისათვის:**

ა) პირველ 1 მილიონ კოლოფზე (არა უმეტეს 75 ცალ.) . . . . . 1.000.000 მან.
ბ) დამატებითი—ყოველ შემდეგ 1 მილიონზე . . . . . 500.000 მან.

შენიშვნა: კოლოფების რაოდენობა 1 მილიონზე ნაკლები ჩაითვლება 1 მილიონად.

IV

საკონიაკო და სპირტის დამწმენდი ქარხნებისათვის.

1. **სპირტის სარექტიფიკაციო ქარხნებისათვის.**

ა) ძირითადი—500.000 გრ. დაწმენდილი სპირტისათვის . . . . . 500.000 მან.
ბ) დამატებითი—ყოველ შემდეგ 500.000 გრ. 250.000 მან.

2. **პურეულის სპირტის სახდელი ქარხნებისათვის**

ა) ძირითადი—500.000 გრ. . 1.000.000 მან.
ბ) დამატებითი—შემდეგ 500.000 გრ. 500.000 მან.

შენიშვნა: გამოხდილი და დაწმენდილი სპირტის რაოდენობა 500.000 გრ. ნაკლები—ჩაითვლება 500.000 გრ; ხოლო პირველ 500.000 გრადუსის შემდეგ გამოხდილი

500.000 გრ. ნაკლები ჩაითვლება 500.000 გრადუსად.

3. საკონიაკო ჭარხნებისათვის ყველგან 500.000 მან.

4. ხილეულის სპირტის სახდელ ჭარხნებისათვის საკონტროლო იარაღით ყველგან . 250.000 მან.

5. იმავე ჭარხნებისათვის უსაკონტროლოიარაღისოდ ნორმიულ ჭარხნებისათვის . . . 25.000 მან.

6. არყის ჭარხნებისათვის ყველგან 1.000.000 მან.

7. **ლუდის სახდელი ჭარხნებისათვის**

ა) ძირითადი—პირველ 1000 ფუთ ალაოზე 1.000.000 მან.

ბ) დამატებითი - ყოველ შემდეგ 1000 ფუთ ალაოზე . . . . . 500.000 მან.

1. **არყისა, სპირტისა და კონიაკის საბითუმო საწყობებისათვის:**

ა) ტფილისსა და ბათუმში . 1.00.000 მან.

ბ) დანარჩენ ადგილებში . . . 500.000 მან.

VI

1. **ღვინის და ლუდის საბითუმო საწყობებისათვის:**

ა) ტფილისსა და ბათომში . 300.000 მან.

ბ) ქუთაისსა და ფოთში . . 250.000 მან.

გ) დანარჩენ ადგილებში . . 100.000 მან.

VII

1. **მაგარ სასმელების სავაჭრო სარდაფებში:**

ა) ტფილისსა და ბათომში . . 500.000 მან.

ბ) ქუთაისსა და ფოთში . . . 250.000 მან.

გ) დანარჩენ ადგილებში . . . 100.000 მან.

VIII

1. **ღვინის სარდაფებისათვის:**

ა) ტფილისსა და ბათომში . 800.000 მან.

ბ) დანარჩენ ადგილებში . . . 300.000 მან.

IX

1. **ღვინის დუქნებში (მაღაზიებში)**

ა) ტფილისსა და ბათომში . . 150.000 მან.

ბ) დანარჩენ ადგილებში . . . 100.000 მან.

X

1. **სახალილოებსა, ბუფეტებსა (გარდა თეატრისა და ცირკისა) და ყველა იმ ადგილებში, სადაც ნება დართულია ღვინისა და მაგარ სასმელების იქვე დალევა:**

ა) ტფილისში, ბათომში და რკინის გზის ყველა სადგურებში . . . . . 300.000 მან.

ბ) ქუთაისში და ფოთში . . . 200.000 მან.

გ) ყველა დანარჩენ ადგილებში 150.000 მან.

XI

1. **თეატრისა და ცირკის ბუფეტში**

ა) ტფილისსა და ბათომში . . 100.000 მან.

ბ) დანარჩენ ადგილებში . . . 50.000 მან.

XII

1. **ლუდის დუქნებში.**

ა) ტფილისსა და ბათომში . . 100.000 მან.

ბ) დანარჩენ ადგილებში . . . 50.000 მან.

XIII

1. ბუფეტში, რომელიც გაიხსნება მოკლე ხნით ბაზრობისა ან გამოფენის დროს—ყველგან დღეში 10.000. მან.

შენიშვნა 1: საგარეაკო ადგილებში, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეიძლება მაგარი სასმლების ვაჭრობა ნახევარი წლის პატენტით მაისის 1-დან ოქტომბრის 1-მდე.

შენიშვნა 2: საქველმოქმედო საზოგადოება, სხვა და სხვა გასართობის საქველმოქმედო მიზნით გამართვის დროს, მაგარ სასმლების ვაჭრობისათვის საპატენტო გადასახადს არ გაიღებს, უკეთუ ბუფეტი არ გადაეცა კერძო პირს.

შენიშვნა 3: ფინანსთა კომისარს უფლება ეძლევა—ესა თუ ის ადგილი ამა თუ იმ ხარისხს მიაკუთვნოს—საპატენტო გადასახადის შემცირებისა ან გადიდების მიზნით.

შენიშვნა 4: განაწერი ესე ვრცელდება მაგარი სასმლების ყოველ სავაჭროზე რომელსაც უკვე აუღია საამისო პატენტი.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე
ბ. ბიბინეიშვილი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი—სასახლე.

75 №-ის დეკრეტის 3-ე-6-ე მუხ.

დანართი

Iატარიფო ცხრილი პროპორციონალური სააქციზო გადასახადისა.

№№ რიგზე	აქციზ-დადებული საგნების სახელწოდება	რაოდენობა	საშუალო გასასყიდი ფასი	%% გადასახადისა	სააქციზო გადასახადის რაოდენობა მანეთობით
	1 ჯგუფი.				
1	საზღვ.-გარეთ შემოტანილი ჩაი.	1 გირვანქა	30.000	10%	3.000 მან.
2	ადგილობრივი ჩაი	,, ,,	20.000	5%	1.000 მან.
	2 ჯგუფი.				
3	ასანთი	1 კოლოფი 75 ც-მდე	1.000	15%	150 მან.
	3 ჯგუფი				
4	მსუბუქი სასმელი ღვინო . .	1 ვედრო (16 ბოთლი)	80.000	20%	16.000 ძან.
5	ლუდი	ალაოს 1 ფუთი	40.000 მ.	,, ,,	48.000 მ. ფ. ალაო.
6	ხილეულობისა და ყურძნეულის სპირტი	1 გრადუსი	ვედრო 2.500	,, ,,	500 მან. გრადუსი
	4 ჯგუფი:				
7	პაპიროსის ქაღალდი	1 წიგნ. 50 ფურც-დე	500	30%	150 მან.
8	პაპიროსის გილზი	1 ასეული	3.000	,, ,,	900 მან. ასეულზე
9	პურეულის სპირტი	1 გრადუსი	6.000	,, ,,	1.800 მ. გრადუსზე
10	კონიაკის სპირტი	1 გრადუსი	12.000	,, ,,	3.600 მ. გრადუსზე
11	სადესერტო ღვინო	1 ვედ. (16 ბოთლი)	160.000	,, ,,	48.000 მ. ვედროზე
12	შუშხუნა ღვინო საზღ.-გათული	1 ვედრო (15 ბოთ.)	500.000	,, ,,	150.000 მ. ვედ.
13	შუშხუნა ღვინო ადგილობრივი.	1 ვედრო (15 ბოთ.)	240.000	,, ,,	75.000 მან. ,,
	5 ჯგუფი:				
14	არყის ნაწარმოები (ლიქორი)	1 ვედ. (20 ბოთ.)	320.0000	50%	160.000 მან ,,
15	მოსაწევი თამბაქო	1 ფუთი	640.000	,, ,,	320.000 მან. ფუთ.
16	პაპიროსი	1 ფუთი	1.440.000	,, ,,	730.000 მან. ,,

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხ. ქავთარაძე

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი.—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 №-ს დეკრეტის მე 9 მუხ.
დანართი.

სია

იმ ქალაქ-გარე დასახლებული ადგილებისა, სადაც ღვინის სავაჭროები იხდიან ერთდროულ სააქციზო გადასახადს.

1. ქალაქ-გარე დასახლებული ადგილები, რომლებიც იხდიან ერთდროულ სააქციზო გადასახადს 200.000 მან. რაოდენობისას:

ტფილისის მაზრა:

1. მანგლისი.
2. ავჭალა.
3. საგარეჯო.
4. აღბულაღი.

ბორჩალოს მაზრა:

1. ეკატერინენფელდი

სიღნაღის მაზრა:

1. გურჯაანი.
2. ლაგოდეხი.
3. ყელისციხე.

დუშეთის მაზრა:

1. მცხეთა.

გორის მაზრა:

1. გორი.

სენაკის მაზრა:

1. აბაშა.

ზუგდიდის მაზრა:

1. ანაკლია.
2. ხობი.

2. ყველა დანარჩენ ადგილებში ღვინის სავაჭროები გაიღებენ სააქციზო გადასახადად 100.000 მანეთს.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 68

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა, ორდინატორებისა და ასისტენტების მობილიზაციისაგან განთავისუფლების შესახებ.

1. პროფესორები, ორდინატორები და ასისტენტები, რომელნიც სახელმწიფო უნივერსიტეტში ირიცხებიან და სამეცნიერო მუშაობას აწარმოებენ,—არ უნდა იქნენ გაწვეულნი მობილიზაციის წესით ან მუშაობას ჩამოშორებულნი, განათლების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად.

2. უკეთუ აღნიშნულ თანამდებობის პირთაგან ვინმე უკვე გაწვეულია მობილიზაციის წესით, ან მუშაობას ჩამოშორებული, განათლების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს თავის მუდმივ თანამდებობას.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე დ. კანდელაკი.

რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., სექტემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 69

საქართველოს სოკ. საბ. რესპ. რევ. კომიტ.

ყოველგვარი სატელეფონო ქონებისა და მასალის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.

1. ყოველგვარი სატელეფონო ქონება და მასალა, როგორც ტელეფონის აპარატი და მისი ნაწილები, ისევე კავი, გორგილი, ყოველნაირი მავთული და ჯირგინი გამოცხადდეს სახელმწიფო საკუთრებად.

ამის გამო არავის არა აქვს უფლება ეს საგნები გაჰყიდოს, გაიტანოს საზღვარგარეთ, ან გადასცეს სხვას.

უკეთუ ვისმე მოეპოვება აღნიშნული საგნები,—ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩააბაროს ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ საწყობს.

ის, ვინც დაარღვევს ამა დადგენილებას და ვისაც აღმოაჩნდება გადამალული ზემოთ ჩამოთვლილი საგნები, მიიცემა პასუხისგებაში, როგორც რესპუბლიკისათვის ზარალის მიმყენებელი.

2. ყოველი პირი და დაწესებულება, რომელსაც უფლება აქვს იქონიოს ტელეფონი, ვალდებულია აპარატს და მთლად მის მოწყობილობას მოეპყრას ფრთხილად. ტელეფონის ან მისი ნაწი-

ლის დაზიანებისათვის, ან დაკარგვისათვის დამნაშავეს გადაეხდება იმდროინდელი საბაზრო ფასი.

3. უკეთუ აპარატი ან მისი ნაწილები დაზიანებულ იქნება ბოროტგანზრახვით, დამნაშავე მიეცემა სასტიკ პასუხისგებაში.

4. არავისა აქვს უფლება თავისი ტელეფონის აპარატი გადასცეს სხვა პირს მუდმივი სარგებლობისათვის, თუ არ მიუღია კანონიერი ნებართვა ქსელის გამგისაგან; წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში.

5. ტელეფონის აბონენტს არა აქვს უფლება ფასის გადახდევინებით ასარგებლოს ტელეფონი სხვა რომელსამე კერძო პირს; წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილ იქნება და თვით აბონენტი მიიცემა პასუხისგებაში.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარი **ბ. კვ. რკელია.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 12.
ტფილისი - სასახლე.

დადგენილება № 70

საქართ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა

გზათა შესაკეთებლად მუშაობის წარმოებისათვის შრომის ბეგარის შემოღების შესახებ.

რათა რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოები, რომელნიც გზათა შეკეთებას აწარმოებენ, საჭირო მუშა-ხელით უზრუნველყოფილ იქნენ და ეს მუშა-ხელი მათ სათანადო გეგმის მიხედვით გამოიყენონ,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი, ვიდრე გამოიცემოდეს დეკრეტი—საყოველთაო შრომის ბეგარის შესახებ,—ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს შრომის ბეგარა იმ მოქალაქეთათვის, რომელნიც ჰბინადრობენ შესაკეთებელ გზების (რკინის გზა, შარა-გზა და სხვ.) ახლო მდებარე დასახლებულ ადგილებში—ოცდაათი ვერსის რადიუსის სივრცეზე.

2. ამა დადგენილების სისრულეში მოყვანა დაეკისროს შრომის სახალხო კომისარიატს.

3. შრომის სახალხო კომისარიატს დაევალოს, შრომის ბეგარის განხორციელების დროს,—შეუთანხმდეს ხოლმე მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს ბეგრის ვადისა და წესის შესახებ, რაც განსაზღვრულ უნდა იქნეს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო გარემოებათა მიხედვით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახ. კომ. მოადგილე **ა. მიქაძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 14.
ქ. ტფილისი,—სასახლე.

დადგენილება № 71

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა

იმ საწარმოო დაწესებულების მუშათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ, რომელი დაწესებულებაც იხურება ან ამცირებს თავის წარმოებას.

რათა სათანადოდ გამოყენებულ იქნეს მუშა-ხელი იმ საწარმოო დაწესებულებისა, რომელიც ან სრულიად დაიხურება, ან თავის მოქმედებას ამცირებს,—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყოველი საწარმოო დაწესებულება, რომელიც წარმოებას ან სრულიად შესწყვეტს, ან დროებით შეაჩერებს, ვალდებულია აცნობოს შრომის განყოფილების მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ადგილობრივ ქვე-განყოფილებას, ორი კვირით ადრე, ან, ყოველ შემთხვევაში, წარმოების შეჩერების თაობაზე ცნობის მიღებისთანავე.

ის საწარმოო დაწესებულება, რომელიც ამ ჟამად არა მუშაობს, ვალდებულია ცნობა,—ამა დადგენილების მეორე მუხლის თანახმად, წარუდგინოს: ტფილისში—შრომის სახალხო კომისარიატს, პროვინციაში—შრომის ადგილობრივ ორგანოებს, ერთი კვირის ვადაზე დღიდან დადგენილების გამოქვეყნებისა ადგილობრივ რევოლიუციონური კომიტეტის მიერ.

2. მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ქვე-განყოფილებათათვის წარსადგენ ცნობაში უნდა აღინიშნოს:

ა) განთავისუფლებულ მუშა-ხელის ნამდვილი რაოდენობა—პროფესიისა, კატეგორიის და სქესის მიხედვით;

ბ) რა დროიდან არიან მუშები განთავისუფლებულნი;

გ) განზრახულია,—მუშებისათვის საბოლოო ანგარიშის გასწორება, თუ მათი დროებითი განთავისუფლება (უკანასკნელ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, თუ რა ვადით განთავისუფლდებიან მუშები);

დ) წარმოების დახურვის მიზეზი;

3. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაობა დრო-

ებით შეჩერებულია, წარმოების დატოვებისა, სამსახურიდან დათხოვნისა ან შვებულებაში წასვლის ნებართვის მიცემა, აგრეთვე მუშებისათვის საბოლოო ანგარიშის გასწორება, წარმოების შემცირებისა ან სრულიად შეწყვეტის გამო,—არ შეიძლება მოხდეს მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ადგილობრივი ქვე-განყოფილების უცნობინებლად და უდასტუროდ.

4. მუშაობისაგან განთავისუფლებულ მუშათა განაწილება და გამოყენება უნდა სწარმოებდეს თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა, რომელიც ცალკე უნდა იქნეს გამოცემული.

5. იმ მუშებს, რომელნიც, პატივსადებ მიზეზის გარეშე, უარს განაცხადებენ სხვა წარმოებაში გადასვლაზე, ან მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ქვე-განყოფილების მიერ დანიშნულ რაიმე სამუშაოზე, აუცილებლად უნდა მოესპოთ გასამრჯელო იმ დროსათვის, რაც საწარმოო დაწესებულება მომცდარი ან დახურული იყო და დაეკისროთ, შრომის სახ. კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად, იძულებითი მუშაობა.

6. დროებით მომცდარი საწარმოო დაწესებულება, უკეთუ მუშაობას განაახლებს, ვალდებულია ამის შესახებ წინადვე აცნობოს მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების ადგილობრივ ქვე-განყოფილებას.

7. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარება და მისი სისწორით აღსრულება დაევალება მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ქვე-განყოფილებას და საწარმოო დაწესებულების ადმინისტრატიულ ორგანოებს, რომელნიც პასუხს აგებენ, უკეთუ დადგენილება ესე აუსრულებელ ან დარღვეულ იქნა.

8. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს ჰმართებთ დაუყოვნებლივ შეამოწმონ, გატარებულია თუ არა ცხოვრებაში დადგენილება ესე მომცდარ წარმოებათა მიმართ და კვლავ გაუწიონ ნამდვილი კონტროლი ამა დადგენილების განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოო დაწესებულებანი ამა დადგენილებას არ აღასრულებენ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები დაუყოვნებლივ აცნობებენ მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ადგილობრივ ქვე-განყოფილებათ, დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, ამა დადგენილების მე-9 მუხ. მიხედვით, ან და თვითონ აძლევენ პასუხისგებაში.—მომცდარ საწარმოო დაწესებულებათა მუშებისათვის ჯამაგირის მისაცემად გაცემულ ასიგნობას მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები დაამტკიცებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ქვე-განყოფილებათა განკარგულებანი—დახურულ საწარმოო დაწესებულებათა მუშების გამოყენების შესახებ—სწორედ იქნება აღსრულებული.

9. შრომის სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან პასუხისგებაში მისცენ,—მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების და მისი ადგილობრივი ორგანოების წარდგენით—ის, ვინც ამა დადგენილებას დაარღვევს ან არ აღასრულებს.

10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯ. მოადგილე

ს. ქავთარაძე.

შრომის სახ. კომისრის მოადგილე

ა. მიქაძე.

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი

ალ. სალარიძე.

1921 წ. სექტემბრის 20.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 72

საქართ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა

მცხოვრებთათვის სამკურნალო წამლების უფასოდ მიცემის თაობაზე საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის მაისის 15-ის თარიღითა და 18 №-ით გამოცემული დადგენილების განმარტების შესახებ.

ზემოაღნიშნული დადგენილების (№ 18) განსამარტებლად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1 აფთიაქიდან უფასოდ წამალი მიეცემათ—საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში—პროფესიონალურ კავშირთა წევრებს, ესე იგი საბჭოთა ხელისუფლების ყოველ მოსამსახურეს, მისი ოჯახის წევრებსა და ყველა იმ პირთ, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის ხარჯზე; აგრეთვე იმას, ვინც წარადგენს ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებისაგან სიღარიბის მოწმობას

2. პირველ მუხლში მოხსენებულმა ყოველმა პირმა უნდა წარადგინოს აფთიაქში ექიმის რეცეპტი, სადაც უნდა იყოს აღნიშნული ავადმყოფის თანამდებობა, მისი მანდატის ნომერი და რომელსაც უნდა ჰქონდეს დასმული ბეჭედი იმ დაწესებულებისა, სადაც ავადმყოფი მსახურობს, ან პროფესიონალურ კავშირისა, ან სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა, ან და ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტისა.

3. დანარჩენ მოქალაქეებს წამალი აფთიაქიდან მიეცემათ მხოლოდ საფასურით.

4. პირველ მუხლში აღნიშნულ ყოველ პირს შეუძლიან მიიღოს აგრეთვე სამკურნალო დახმარება საბჭოთა საავადმყოფოში იმ წესით და პირობით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მეორე მუხლში.

ხოლო დანარჩენ მოქალაქეებს ასეთივე დახმარება შეუძლიათ მიიღონ საფასურით.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ქავთარაძე**

ჯანმრთელობის სახ. კომისარი **გრ. კუჭაიძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 20.
ქ. ტფილისი, — სასახლე.

დადგენილება № 73

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტი № 41 მუხლი 24-ის შეცვლის შესახებ.

წითელი არმიელებისა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ გამოცემული დეკრეტი № 41 მუხლი 24-ის შესაცვლელად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ამ დეკრეტის სისრულეში მოყვანა ევალება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს; სურსათით უზრუნველყოფა — სასურსათო სახალხო კომისარიატს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დახმარების აღმოჩენა — მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტ.
თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 20.
ტფილისი, — სასახლე.

დადგენილება № 74

საქართ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა

მუშა-მოსამსახურეთა ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლისა და სამსახურის დატოვების შესახებ.

1. აკრძალულია მუშა-მოსამსახურეთა თავის ნებით ერთი უწყებიდან ან წარმოებიდან მეორეში გადასვლა და სამსახურის სრულიად დატოვება.

შენიშვნა: დაწესებულების ადმინისტრაცია, უკეთუ ვინმე თავის ნებით დატოვებს სამუშაოს ან სხვაგან მოეწყობა, მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

2. მუშა-მოსამსახურეთა ერთი უწყებიდან მეორეში გადასვლა უნდა მოხდეს სათანადო უწყებათა ერთმანეთთან შეთანხმებით და შრომის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

3. მუშა-მოსამსახურეთა ერთი დაწესებულებიდან ან წარმოებიდან იმავე უწყების მეორე დაწესებულებაში ან წარმოებაში გადასვლა ან გადაყვანა უნდა მოხდეს დაწესებულებათა მმართველობის შეთანხმებით და შრომის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

4, მუშა-მოსამსახურეთა ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანა ერთსა და იმავე დაწესებულებასა ან წარმოებაში უნდა მოხდეს დაწესებულებისა ან წარმოების ადმინისტრაციის მიერ სატარიფო შემფასებელ კომისიასთან შეთანხმებით.

5. მუშა-მოსამსახურე, რომელიც ამა დადგენილებას დაარღვევს, პასუხს აგებს შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოების წინაშე, როგორც შრომის დეზერტირი.

6. ადმინისტრაციის პირი, რომელიც ამ დადგენილებას დაარღვევს, პასუხს აგებს სახალხო სასამართლოს წინაშე, როგორც შრომის დეზერტირობის წამქეზებელი და ხელის მემწყობი.

7. ამა დადგენილების განსამაოტებლად შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტ. თავმჯდომარის მოადგილე
ს. ქავთარაძე.

შრომის სახ. კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. სექტემბრის 22.
ქ. ტფილისი, — სასახლე.

დადგენილება № 75

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

დამზღვევი კასის მონაწილეთათვის დახმარების ნორმის გადიდების შესახებ.

1. დამზღვევი კასის მონაწილე მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების არსებული ნორმები ამა 1921 წლის სექტემბრის 15-დან გადიდებულ იქნეს ოთხასი პროცენტით — სახელდობრ:

ა) 1—5 წლის ბავშვის სიკვდილის გამო — სამოცდახუთმეტი ათასი (75.500) მან.

ბ) 5—14 წლის ბავშვის სიკვდილის გამო — ასოცდახუთი ათასი (125.000) მან.

გ) 14 წლისაზე მეტი ხნის ბავშვის სიკვდილის გამო — ასსამოცდახუთმეტი ათასი (175.000) მანეთი.

დ) კასის მონაწილის გარდაცვალების გამო — ორასორმოცდაათი ათასი (250.000) მან.

ე) კასის მონაწილის მეუღლის მშობიარობის გამო—ორასიათასი (200.000) მან.

2. ნაცვლად დღემდე არსებული ნორმისა (ძირითად ჯამაგირის $^3/_4$—$1^1/_2$), კასის მონაწილის ავადმყოფობის გამო დახმარება ამა წლის სექტემბრის 15-დან დაწესდეს გაძლიერებული ნორმით, სახელდობრ: არა ნაკლებ ძირითადი ჯამაგირის რაოდენობისა და არა უმეტეს ერთი ორად გადიდებული ჯამაგირისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ.
თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახ. კომ. მოადგ. **ა. მიქაძე.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 22.
ტფილისი,—სასახლე.

დადგენილება № 76

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა „ბავშვის კვირის“ მოწყობის შესახებ.

1. მოწყობილ იქნეს „ბავშვის კვირა“ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის გაჭირვებულ და ვოლგის ზხრის დამშეულ ბავშვებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

2. „ბავშვის კვირა“ დაინიშნოს 1921 წ. ოქტომბრის 15-დან 22-მდე.

3. „ბავშვის კვირის“ გასამართავად დაარსდეს კომიტეტები,—რევოლიუციონური კომიტეტებისა, კომუნისტური პარტიისა, სასურსათო კომიტეტებისა, ჯანმრთელობის განყოფილებათა და განათლების დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან შედგენილი—განათლების დაწესებულებათა წარმომადგენლების თავმჯდომარეობით,—როგორც ცენტრსა, ისე ადგილობრივ.

4. მთლად რესპუბლიკის მცხოვრებნი მოწოდებულ იქნენ,—რათა გაილონ ზემოაღნიშნული კომიტეტების განკარგულებისათვის ნებაყოფლობითი შეწირულება ყოველივე იმით, რაც აუცილებელია ბავშვთა გამოსაკვებად და პირველ საჭიროების საგნების მისაწოდებლად.

5. „ბავშვის კვირის“ მთელი შემოსავალი პროდუქტებად უნდა ჩაბარდეს მოსაგროვებელ პუნქტებს და განაწილებულ უნდა იქნეს განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების შეთანხმებით.

6. ფულად შემოსული შემოწირულება უნდა გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატის კასას.

7. ადგილობრივი კომიტეტები ვალდებულნი არიან—სამის დღის ვადაზე წარუდგინონ ცენტრალურ კომიტეტს ციფრობრივი ცნობები შემოსავლის შესახებ.

8. წესს ამა დადგენილების მოქმედებაში შესვლისა, „ბავშვის კვირის“ მოწყობისა, შემოწირულების შეკრეფისა და შენახვისას შეიმუშავებს „ბავშვის კვირის“ ცენტრალური კომიტეტი, რომელიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. განათლების სახალხო კომისარიატთან უნდა დაარსდეს.

9. რესპუბლიკის ყველა დაწესებულება ვალდებულია სრული და მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინოს კომიტეტებს „ბავშვის კვირის“ გასამართავად.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

განათ. სახ. კომ. მოადგ. **დ. კანდელაკი.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 27.
ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 77

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა თავთავიანი პურეულის ნატურალური გადასახადის ჩაბარების უკანასკნელი ვადის შეცვლის შესახებ.

რადგანაც რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში თავთავიანი პურეულის აკრეფა დაგვიანდა,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტის (№ 60) მე-9 მუხლის ნაწილობრივ შესაცვლელად—ნება მიეცეს სასურსათო სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს, თავისი შეხედულობით, უკანასკნელი ვადა პურის გადასახადის აღსრულებისა ხორბლისა, ქერისა და შვრიის ჩაბარების შესახებ,—დეკრეტით დადგენილის—1921 წლის ოქტომბრის 1-ს ვადის ნაცვლად.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტ. თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე **ნ. ამირალოვი.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 29.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 78

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა მეტალისტების მობილიზაციის შესახებ.

სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მის წარმოებათა კვალიფი-

ციური მეტალისტების საკმაო რიცხვით უზრუნველყოფისათვის, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. გამოცხადებულ იქნეს რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრებ მეტალისტთა მობილიზაცია.

2. მობილიზაციის განხორციელება და სათანადო წესის შემუშავება დაეკისროს შრომის სახალხო კომისარიატს.

3. შრომის სახალხო კომისარიატს მიეცეს უფლება საჭიროებისამებრ გამოსცეს მეტალისტების მობილიზაციასთან დაკავშირებული ბრძანებანი და ინსტრუქციები.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტ.
თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახ. კომ. მოადგილე **ა. მიქაძე.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., სექტემბრის 30.
ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 79

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

ბანდიტიზმის მოსასპობად სათანადო ღონისძიებათა მიღების შესახებ.

ბანდიტიზმი რესპუბლიკაში თანდათან მუდმივი მოვლენის ხასიათს იღებს. ბანდიტთა ბრბოების მოქმედება მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის საგნებლად და მუშათა და გლეხთა მონაპოვართათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

ამ საფრთხის ასაცილებლად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ბანდიტიზმი განხილულ და შეფასებულ უნდა იქნეს როგორც ყოვლად საშიში კონტრრევოლიუციონური მოვლენა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ბანდიტთა ყოველი ბრბო უნდა მოისპოს სულ მოკლე ხანში სავსებით და ულმობელად.

2. ამ ბრბოთა ლიკვიდაცია დაეკისროს საქართველოს საგანგებო კომისიას.

3. ამასთანავე ეცხადება ყოველ ბანდიტს, რომ ვინც მათგანი ათი დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, იარაღს დაჰყრის და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდება,—მიენიჭება სიცოცხლე და თავისუფლება.

4. წინადადება ეძლევა რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს—გაუწიოს საქართველოს საგანგებო კომისიას სრული და ნამდვილი დახმარება მისთვის დავალებული საქმის შესასრულებლად და ამასთანავე ნუ დაივიწყებს თავის მოვალეობას, რომ უნდა აცნობოს ხოლმე საქართველოს საგანგებო კომისიას და ადგილობრივ პოლიტიკურ ბიუროს—ბანდიტების შემადგენლობა, მათი ადგილსამყოფელი, განზრახვანი და სხვ. ამისთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., ოქტომბრის 3.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 80

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა

დაწესებულებათა, წარმოებათა და ქარხნების მიერ მუშა-მოსამსახურეთა სიების საგალდებულო შემოღების შესახებ.

1. ყოველი დაწესებულება, ქარხანა და წარმოება ვალდებულია შემოიღოს მუშა-მოსამსახურეთა სიები შემდეგი ფორმით:

1) სახელი, მამის სახელი და გვარი;
2) დაბადების წელი;
3) სად დაიბადა (მაზრა, ქალაქი, თემი)
4) მისამართი (მიწერილობის ადგილი);
5) ოჯახის ადგილ-საცხოვრებელი;
6) სპეციალობა (თუ რამდენიმეა,—ჩამოითვალოს ყველა);
7) რა თანამდებობა უჭირავს, ან რაგვარ მოვალეობას ასრულებს);
8) დაწესებულებისა ან წარმოების სამსახურში შესვლის დრო;
9) დამოკიდებულება სამხედრო ბეგარასთან;
10) მიღებული სწავლა-განათლება;
11) დრო და მიზეზი დათხოვნისა.

2. აღნიშნული სიები შემოღებულ უნდა იქნეს ყოველი დაწესებულებისა და წარმოების მიერ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა და სათანადო წესით წარმართული დაწესებულებისა და წარმოების გამგეთა პასუხისმგებლობით.

3. ამა დადგენილების აღუსრულებლობისათვის,—თუნდ ნაწილობრივადაც, დამნაშავე პასუხისგებაში მიცემულ უნდა იქნეს შრომის დეზერტირობის მიმშვებლობისა და დახმარებისათვის.

4. შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს დაევალებათ თვალყურის დევნება ცენტრში და ადგილობრივ ამ დადგენილების ასრულებისათვის, ხოლო აუსრულებლობისათვის დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

5. დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახ. კომ. მოადგილე **ა. მიქაძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., ოქტომბრის 3.
ტფილისი.—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 81.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა

ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულის მოწყობის შესახებ.

1. ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულის მოსაწყობად დაარსდეს ცენტრალური კომისია, სადაც შევლენ წარმომადგენლებად: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან ამხ. ა. თუმანიშვილი, კომუნისტურ ახალგაზდათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტისაგან—ამხ. სემერლიევა, ცალკე კავკასიის არმიისაგან—ამხ. ვოსკრესენსკი, საქართველოს წითელ არმიისაგან—ამხ. ერმანი, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან—ამხ. ყურულაშვილი, კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტისაგან—ამხ. ივანოვი და განათლების სახალხო კომისარიატისაგან—ამხ. კანდელაკი.

შენიშვნა: ცენტრალურ კომისიაში თავმჯდომარეობს საქართველოს კომინისტურ პარტიის წარმომადგენელი.

2. მაზრებში და რაიონებში, იმავე პრინციპის მიხედვით, არსდება ადგილობრივი კომისიები, ადგილობრივ პარტიულ კომიტეტის წარმომადგენელის თავმჯდომარეობით.

3. ცენტრალური კომისია, თავისივე შეხედულებით, გამოიყენებს დამხმარე კომისიებს და ცალკე პირთ.

შენიშვნა: ყოველი დამხმარე კომისია და კერძო პირი ვალდებულია იქონიოს ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერილი და საქ. კომუნ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბეჭედ-დასმული მანდატი.

4. დღესასწაულის პროგრამას და ხარჯთაღრიცხვას შეიმუშავებს ცენტრალური კომისია და დაამტკიცებს საქართველოს რევოლ. კომიტეტი.

5. ყოველი განკარგულება დღესასწაულის მოწყობის შესახებ უნდა იყოს ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის ბეჭედ-დასმული, ხოლო ადგილობრივ—იქაური კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერილი და პარტიულ კომიტეტის ბეჭედ-დასმული.

6. ყველა სახელმწიფო დაწესებულება მოვალეა გაუწიოს ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულის მომწყობ ცენტრალურ და ადგილობრივ კომისიებს ყოველგვარი დახმარება.

საქ. რევ. კომიტ. თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., ოქტომბრის 7.
ქ. ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 83.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუც. კომიტეტისა

დაწესებულებათა და წარმოებათა შტატების შემამცირებელი კომისიების დებულების შესახებ.

რადგანაც საჭიროება მოითხოვს, რომ საბჭოთა ყოველ დაწესებულებასა და წარმოებაში თანამშრომელთა პირადი შედგენილება, რაც შეიძლება, შესამჩნევად და ამასთანავე მიზანშეწონილად იქნეს შემცირებული, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს.

1. დაარსდეს შრომის სახალხო კომისარიატთან და სამაზრო შრომის განყოფილებასთან სამტატო კომისიები ხუთი წევრის შედგენილობით: ორი წარმომადგენელი პროფესიონალური კავშირების სათანადო საკავშირთაშორისო კრებულისაგან, ორი წარმომადგენელი შრომის სახალხო კომისარიატისა, ხოლო ადგილობრივ შრომის განყოფილებისაგან, და ერთი წარმომადგენელიც—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისაგან.

2. კომისიის მოვალეობას შეადგენს:

ა) გამოკვლევა, თუ რამდენად შეესაბამებთანამშრომელთა პირად შედგენილობას დაწესებულებათა სამუშაოს რაოდენობა და მათი აგებულებრივი წყობილების ხასიათი;

ბ) განსაზღვრა, თუ რამდენად შეიძლება შემცირებულ იქნეს თანამშრომელთა პირადი შედგენილობა;

გ) შემუშავება ძირითადი პრინციპებისა,—შტატების შემცირების გამო, თანამშრომელთა დათხოვნისათვის—განსაზღვრულ რაოდენობამდე;

დ) თვალყურისდევნება,—რათა კომისიის მიერ განსაზღვრული და სათანადო წესით დამტკიცებული—შტატების შემცირება ფაქტიურად აღსრულებულ იქნეს;

ე) შემუშავება და განსაზღვრა დაწესებულებათათვის ნორმალური და მტკიცე შტატებისა;

ვ) განხილვა და გადაწყვეტა ყოველი საკითხისა, რაც შეიძლება აღიძრას მუშაობის პროცესში დაწესებულების თანამშრომელთა რიცხვის ფაქტიურად შემცირებისა და მტკიცე შტატების შემოღების გამო.

3. შტატების შემამცირებელ კომისიას ევალება გამოიკვლიოს დაწესებულების მდგომარეობა ამა დაწესებულების წარმომადგენელთა (ადმინისტრაციისა და თანამშრომელთა ადგილობრივ კომიტეტისა) და აგრეთვე სათანადო კავშირის ეკონომიური განყოფილების წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით.

4. დაწესებულების თანამშრომელთა პირად შედგენილობას შემცირებს ადმინისტრაცია ადგილობრივ სატარიფო შეფასებელი კომისიის დასკვნის თანახმად და იმ პრინციპების მიხედვით, რაც შეუმუშავებია საშტატო კომისიას სათანადო პროფესიონალურ კავშირთან ერთად.

5. შტატის შემცირება, რომელსაც საშტატო კომისია საჭიროდ სცნობს ამა თუ იმ დაწესებულების მიერ შრომის სახალხო კომისარიატისა ან შრომის განყოფილებისაგან სათანადო მიწერილობის მიღების დღიდან; ამასთანავე დაწესებულება ვალდებულია გაუგზავნოს შრომის სახალხო კომისარიატს ან შრომის ადგილობრივ განყოფილებას,—არა ოგვიანეს ერთი კვირისა, შტატის ფაქტიურად შემცირებამდე,—ცნობა შტატის შემცირების გამო სამსახურიდან დასათხოვნ თანამშრომელთა შესახებ, თანახმად ფორმებისა, რომელსაც შეიმუშავებს შრომის სახალხო კომისარიატი.

6. ყოველგვარ მასალას დაწესებულებაში შტატების ფაქტიურად შემცირების შესახებ ადმინისტრაცია და ადგილობრივი სატარიფო-შემფასებელი კომისია, მუშაობის დამთავრების შემდეგ, დაყოვნებლივ წარუდგენენ შრომის სახალხო კომისარიატსა ან შრომის განყოფილებასთან არსებულ საშტატო კომისიას.

7. დაწესებულებათა ვითარების გამოკვლევით შეგროვილი მასალისა და შტატების ფაქტიურად შემცირების გამოცდილების მიხედვით, საშტატო კომისია, სათანადო პროფესიონალურ კავშირთან ერთად, შეიმუშავებს გამოკვლეულ დაწესებულებათათვის ნორმალურ, მტკიცე შტატებს და პროექტს მათი აგებულებრივი წყობილების შეცვლის შესახებ.

8. თვითეული ცალკე წარმოების გამოკვლევის შემდეგ, კომისია, სათანადო პროფესიონალურ კავშირსა და ადმინისტრაციასთან ერთად,—ყოველ თავის წინადადებას დაწესებულების აპარატის გაუმჯობესების შესახებ, დაკავშირებულს შტატის შემცირებასა, რეკონსტრუქციასა, მტკიცე შტატების დაწესებათა და სხვ.—წარმოადგენს დასამტკიცებლად სათანადო რევოლიუციონურ კომიტეტში.

9. ყოველი ადგილობრივად არსებული კომისია, რომელიც ასრულებს ამ დებულების მუხლებში აღნიშნული სახის ფუნქციებს,—უნდა გაუქმდეს და ყოველი თავისი ნამუშავარი და მასალები გადასცეს ამ დებულების საფუძველზე დაარსებულ საშტატო კომისიას.

10. შტატების შემცირებისა და მტკიცე შტატებისა და დაწესებულებათა რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავების საქმის დამთავრების შემდეგ, სამაზრო საშტატო კომისიები წარუდგენენ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიას მოხსენებას მათ მიერ წარმოებული მუშაობის შესახებ.

11. შრომის სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ნება ეძლევა ამა დადგენილების განსავითარებლად და განსამარტებლად გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

12. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტ. თავმჯდომარის
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახ. კომისარის მოადგ. **ა. მიქაძე.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., ოქტომბრის 12.
ქ. ტფილისი,—სასახლე.

ბრძანება № 82

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა.

1. რათა ავტომობილების მოძრაობა—როგორც მსუბუქისა, ისე სატვირთოსი—ქალაქ გარედ სათანადოდ მოწესრიგებულ იქნეს, აღკრძალულია ავტომობილების გასვლა თბილისს გარედ საამისოდ დაწესებული ნებართვის მიუღებლად.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოველმა დაწესებულებამ, საქულბაქომ და წარმოებამ, რომელსაც ესაჭიროება ქალაქ გარედ ავტომობილით გასვლა ან ტვირთის გატანა, უნდა მიმართოს საქართველოს საგანგებო კომისიას საამისოდ დაწესებული ნებართვის მისაღებად. სხვა რამ ნებართვას და დოკუმენტს არავითარი ძალა არა აქვს ქალაქ გარედ გასვლისათვის.

აქედან გამონაკლისს შეადგენს ცალკე კავკასიის არმიის ავტომობილები, რომელთაც ნებართვა უნდა მიეცეს ამა არმიის შტაბიდან—შტაბის უფროსისა და სამხედრო კომისარის ხელისმოწერითა.

3. ყველა, ვინც ავტომობილებით მიმავალი ან ბარგის გამყოლი შეეცდება ნებადაურთველად გასვლას,—დაჭერილ უნდა იქნეს და გაიგზავნოს საქართველოს საგანგებო კომისიაში—ამა ბრძანების დარღვევისათვის კანონიერ პასუხისგებაში მისაცემათ.

საქ. რევ. კომ. თავმჯდომარის მოადგილე
ს. ქავთარაძე

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. სექტემბრის 22.
ტფილისი.—სასახლე.

ბრძანება № 83

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. სექტემბრის 12-ს დადგენილებით, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. **კვანტალიანი** განთავისუფლებულია ამ თანამდებობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სოც. საბ. რესპ. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ დაინიშნა ამხ. **ალნიაშვილი**, პეტრე სიმონის ძე.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომ. თავმჯ. მოადგ. **ს. ქავთარაძე.**

სახედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარი **შ. ელიავა.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. სექტემბრის 22.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 84

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. სექტემბრის 23-ს დადგენილებით, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მეორე მოადგილედ ინიშნება გენერალური შტაბის ამხ. **კუზნეცოვი**, ბორის ინოკენტის ძე.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომ. თავმჯ. მოადგ. **ს. ქავთარაძე.**

სამხ. და საზღვაო საქ. სახ. კომისარი **შ. ელიავა.**

რევ. კომ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. სექტემბრის 24.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 85

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. სექტემბრის 1-ს დადგენილებით, ამხ. **ფრანგულიანი** დანიშნულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომ. თავმჯ. მოადგ. **ს. ქავთარაძე.**

რევ. კომ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. სექტემბრის 29.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 86.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ, რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. ოქტომბრის 12-ს დადგენილებით საქართველოს წითელი ლაშქრის უფროსი ალექსანდრე სიმონის ძე **ანდრონიკაშვილი** განთავისუფლებულია ამ თანამდებობიდან.

2, საქართველოს წითელი ლაშქრის უფროსის მოვალეობის დროებით აღსრულება ეკისრება საქართველოს სოც. **საბჭ.** რესპ. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. პეტრე სიმონის ძე **ალნიაშვილს.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ. თავმჯ. მოადგ. **ს. ქავთარაძე.**

რევ, კომ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., ოქტომბრის 12.
ტფილისი.—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა

ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების შესახებ.

I. კომპეტენცია განყოფილებისა

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან დაარსებულ იქნეს **ცეცხლისაგან დაცვის განყოფილება** საქართველოს სოც. საბჭ. მთელი რესპუბლიკისათვის.

2. ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას ექვემდებარება მთლად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში ცეცხლისქრობის ყოველი საქმე, სახელდობრ:

ა) ყოველი ცეცხლისმქრობელი რაზმი, სადარაჯო და ცეცხლისმქრობელი სხვა ორგანიზაცია, როგორც პროფესიონალური, ისე მოხალისეთა და საბეგრო, მათ შორის,—გამოუკლებლივ—სამხედრო, სარკინისგზო და სანავთსადგურო, რაც-კი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) აღრიცხვა ცეცხლის საწინააღმდეგო ყოველგვარი ძალისა რესპუბლიკაში იმ აზრით, თუ რამდენია: ცეცხლისმქრობელი რაზმი, მოხალისეთა გუნდი, პირადი შედგენილობა, ტეხნიკური გაჯართულობა და ხელსაწყო;

გ) ცეცხლის გაჩენის სტატისტიკა;

დ) ცეცხლისქრობის ინსპექცია, რომლის ფუნქციას შეადგენს:

I. თვალყურის დევნება და კონტროლი იმისათვის, თუ რამდენად სისწორით სრულდება—ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების სავალდებულო დადგენილება, გახკარგულება და ბრძანება;

II. თვალყურის დევნება და კონტროლი,—თუ როგორ სწარმოებს ცეცხლისგან დაცვის განყოფილების მიერ დანიშაული გამოკვლევა ცეცხლის გაჩენის საქმისა—ქალაქებში, სოფლებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინისგზისა და წყლის ტრანსპორტის მოწყობილობაში; სანიტარიო-სა-

სურსათო და საავეჯო-სანივთო საწყობებში, საბჭო პაკჰაუზებში და ყოველ,—გამოუკლებლივ,—წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობაში, რაც საჭიროებს განსაკუთრებულ სერიოზულ ცეცხლის-მძლედ ცეცხლის საწინააღმდეგო მოწყობილობას, რათა მიეცეს მათ სათანადო დარიგება—ცეცხლისაგან უზრუნველყოფისათვის და მასთან საბრძოლველად საჭირო ღონისძიებათა მისაღებად;

III. ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება ადგილობრივ ინსტრუქტორებისა და ცეცხლისმქრობელი რაზმებისა და გუნდების უფროსთა საქმიანობისათვის მთლად რესპუბლიკაში;

IV. გამოცდის მოხდენა ცეცხლისმქრობელი რაზმის ახლად დანიშნული უფროსებისათვის, აგრეთვე ასეთივე გამოცდა სამსახურში მყოფ ცეცხლისმქრობელ რაზმის უფროსთა;

V. აინსტრუქტორო ხელმძღვანელობა და რევიზიის მოხდენა ადგილობრივ ცეცხლისმქრობელ ორგანოთათვის, ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების წინადადებით და სხვა მისი მინდობილობის აღსრულება.

ე) ცეცხლისქრობის დამხმარე ყოველი დაწესებულება, რომელიც მიჩნეული იქნება საჭიროდ ცეცხლისაგან დაცვის საქმის სწორედ დაყენებისა და განვითარებისათვის.

3. ცეცხლისაგან დაცვის განყოფილება შეიმუშავებს მთლად რესპუბლიკისათვის ყოველგვარ სავალდებულო დადგენილებას—ცეცხლის მიმართ გაფრთხილებისა და თავიდან აცილების საწინასწარო ღონისძიებათა შესახებ.

4. ამტკიცებს თანამდებობაზე ყოველ ახლად დანიშნულ ინსტრუქტორს, ცეცხლისმქრობელი რაზმის უფროსს და მაზრების და ქალაქების რევოლიუციონურ კომიტეტის ცეცხლისქრობის ქვე-განყოფილების გამგეს, რომელთაც მიიწვევს სამსახურში ქალაქისა და მაზრის კომუნალური განყოფილება.

II. კონსტიტუცია.

5. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების სათავეში სდგას ქ. ტფილისის ბრანდმაიორი, რომელსაც ეწოდება—ცეცხლისაგან დაცვის ინსპექტორი რესპუბლიკაში; იგი არის სრული პასუხისმგებელი მთლად ცეცხლისქრობის საქმისა—განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში.

6. განყოფილებას აქვს—ქვე-განყოფილებანი: საქალაქო, სამაზრო, საშარაგო და საინსტრუქტორო, რასაც სათავეში უდგანან გამგეები, რომელნიც უშუალოდ ემორჩილებიან ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების ინსპექტორს.

7. საქალაქო ქვე-განყოფილების გამგეობა-ში შედის ყოველი ცეცხლისმქრობელი რაზმი სადარაჯო და სხვა ცეცხლისმქრობელი ორგანიზაცია რესპუბლიკის შემდეგ ქალაქებისა: ტფილისა, ბათუმისა, ქუთაისისა და ფოთისა.

შენიშვნა: ჭიათურა, როგორც სამრეწველო ცენტრი, საქალაქო ქვე-განყოფილების გამგეობაშია; მართვა ამ ქვე-განყოფილებისა დაევალება რესპუბლიკის ცეცხლისაგან დაცვის ინსპექტორს.

8. სამაზრო ქვე-განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს მთლად ცეცხლისქრობის საქმეს მაზრაში, კომუნალური მეურნეობის განყოფილების ქვე-განყოფილებათა საშუალებით და სამაზრო ქვე-განყოფილების გამგის მეთაურობით.

9, მომარაგების ქვე-განყოფილება განაგებს ცეცხლისმქრობელი რაზმებისა და ორგანიზაციების ყოველგვარ სამარაგო საქმეს მთლად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ჰმართავს პირადი შედგენილობის საქმისწარმოებას,—აწარმოებს მთლად ინვენტარის აღრიცხვას და ფულისა და მატერიალურ ანგარიშს და მოაწყობს ცეცხლის ქრობის სარემონტო სახელოსნოებს.

10. საინსტრუქტორო ქვე-განყოფილება გაუწევს საინსტრუქტორო ხელმძღვანელობას და კონტროლს ყოველ ორგანოს, რომელიც ექვემდებარება ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას რესპუბლიკაში; მოაწყობს ახალ ნაწილებს, განყოფილების წინადადების თანახმად, შეიმუშავებს სავალდებულო დადგენილებათა პროექტებს; განიხილავს საკითხს ცეცხლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ; თვალყურს ადევნებს განყოფილების მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა, განკარგულებისა და ბრძანების სათანადო აღსრულებას ცეცხლისქრობის სწავლის საქმეს და აწარმოებს ცეცხლის გაჩენის სტატისტიკას. ამ ქვე-განყოფილების გამგეობა დაევალება რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების ინსპექტორის თანაშემწეს.

III. ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილებანი.

11. ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების ორგანოებად მაზრაში ითვლებიან ცეცხლისაგან დაცვის ქვე-განყოფილებანი. რომელნიც მოეწყობიან სამაზრო კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების ქვე-განყოფილების უფლებით.

12 ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ჰნიშნავს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი (რევ. კომ.) და ამტკიცებს თანამდებობაზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთავარი კომუნალური მეურნეობის სამმართველოს ცეცხლისაგან დაცვის განყოფილება; ოკანასკნელს უფლება აქვს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატების დასაბუთებულად უკუქცევისა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა, საკითხს გადასწყვეტს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგია.

13. ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილების გამგის თანამდებობისაგან გადაყენებისა და დათხოვნის უფლება აქვს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებისათვის შეტყობინებისა და მისი დასტურის მიღების შემდეგ.

შენიშვნა: უკეთუ ადგილობრივ არ მოიძოვება ცეცხლისქრობის საქმისთვის შესაფერი კანდიდატი, მთავარი კომუნალური მეურნეობის ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას უფლება აქვს—უშუალოდ დანიშნოს სამაზრო ქვე-განყოფილების გამგე და სხვა პასუხისმგებელი მოშუშავე ცეცხლისქრობის საქმისათვის.

14. რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას უფლება აქვს,—საჭიროებისადაგვარად, გადაიყვანოს ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილებისა, სათემო და სასოფლო ცეცხლისმქრობელი რაზმები. საკომანდო შედგენილობა და თანამშრომლები სხვა ადგილას,—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთავარი კომუნალური მეურნეობის განყოფილების სამმართველოსადმი გაცემული ბრძანებით,—ასეთი ბრძანება აღსრულებულ უნდა იქნეს საომარი ბრძანების აღსრულების წესით.

15. ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილების (კომუნალურ მეურნეობისა) ხელთ არის მაზრის ტერიტორიაზე არსებული ყოველი ცეცხლისმქრობელი რაზმისა და ორგანიზაციის მართვა-გამგეობა და მომარაგება, აგრეთვე ცეცხლისქრობის ბეგარის ხელმძღვანელობა.

16. ყოველი ბრძანება და განკარგულება რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილების, უნდა აღსრულებულ იქნეს ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილების მიერ აუცილებლად; უკეთუ განყოფილების ამა თუ იმ განკარგულებას მაზრის ქვე-განყოფილება არ ეთანხმება, იგი ამ განკარგულებას განასაჩივრებს—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებით—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წინაშე, ხოლო თვით განკარგულების აღსრულებას არ შეაჩერებს.

17. ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილებანი აწარმოებენ მაზრის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისა, ფაბრიკა-ქარხნებისა, საწყობებისა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებათა მდგომარეობის გამოკვლევას ცეცხლის გაჩენის მხრით; თვალ-ყურს ადევნებენ ცეცხლის საწინააღმდეგო წესის, განკარგულების და სავალდებულო დადგენილების სათანადოდ ასრულებას:—აგრეთვე ხიდებისა და მდინარეთა მისადგომ აღმართ-დაღმართების წესიერად აგებაკეთებას, მოვლასა და შეკეთებას; შეიმუშავებენ მაზრებისათვის ცეცხლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გეგმას, რომელსაც დასამტკიცებლად,—კომუნალური მეურნეობის განყოფილების საშუალებით,—წარუდგენენ მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს და რესპუბლიკაში ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას.

18. ცეცხლისაგან დაცვის სამაზრო ქვე-განყოფილება ხელს შეუწყობს ყოველგვარი მისაწდომი საშუალებით ცეცხლის საწინააღმდეგო ტექნიკური ცოდნის გავრცელებას ხალხში.

19. მაზრის ყველა სოფელში, სადაც საჭიროდ იქნება მიჩნეული, მოეწყობა ცეცხლისმქრობელი რაზმი, გუნდი, როგორც პროფესიონალური, ისე მოხალისეთა და ბეგარა-ვალდებულთა. მათ სათავეში უდგანან ცეცხლისქრობის ხელმძღვანელნი (ბრანდმეისტერი) ან რაზმის უფროსნი, რომელნიც პირდაპირ ექვემდებარებიან მაზრაში ცეცხლისაგან დაცვის საქმის გამგეს.

20. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის
თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შინაგ საქმეთა სახ. კომისარი **ბ. კვირკელია.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. აგვისტოს 31.
ტფილისი.—სასახლე.

შინაგან საქ. სახ. კომისარ.

დადგენილება

შინ. საქ. სახ. კომისარიატისა.

შინ, საქ. სახ. კომისარიატმა, განიხილა რა შორაპნის მაზრის ხუნევის თემის სოფ. გოლისის მცხოვრებთა განცხადება, რომლითაც ისინი შუამდგომლობენ სოფელ გოლისის ხუნევის თემიდან გამორიცხვას და ლიჩის თემზე მიწერას, და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ, როგორც სჩანს შორაპნის მაზრის დაწვრილებითი (ხუთ ვერსტიან მაშტაბით შედგენილის) რუქიდან, სოფელი გოლისი-ლიჩის თემთან უფრო ახლო მდებარეობს, ვიდრე ხუნევის თემთან (შორაპნის მაზრის რევკომის სიტყვით, ეს სოფელი პირველიდან დაშორებულია 6 ვერსტით, ხოლო მეორედან—12 ვერსტით) ბ) რომ მიმოსვლა სოფელ გოლისსა და ხუნევის თემს შორის მეტად გაძნელებულია, ნამეტურ ზამთრობით, ხოლო ლიჩის თემთან მიმოსვლა შედარებით ადვილია; გ) რომ გოლისის მკვიდრთ მეტი კავშირი აქვთ ლიჩის თემთან, ვიდრე ხუნევთან და დ) რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო, რომელიც მთელი მაზრის მკვიდრთა ინტერესების წარმომადგენელია—შორაპნის მაზრის რევკომი, იზიარებს რა სოფელ გოლისის მცხოვრებთა მოსაზრებებს, სავსებით მხარს უჭერს მათ შუამდგომლობას დაადგინა:

1) გამორიცხულ იქმნას სოფ. გოლისი შორაპნის მაზრის ხუნევის თემიდან და მიწერილ იქმნას იმავე მაზრის ლიჩის თემზე და 2) ასლი ამ დადგენილებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეგზავნოს შორაპნის მაზრის რევკომს და მილიციის უფროსს სათანადო განკარგულებათა მოსახდენათ.

შინ. საქ. სახალხო კომისარის
მოად. **ნ. სოკოლოვსკი.**

ადმინისტრ. ერთეულთა განყოფილების
გამგე **გრ. გველესიანი.**

დადგენილება

შინ. საქ. სახ. კომისარიატისა

შინ. საქ. სახ. კომისარიატმა, განიხილა რა შორაპნის მაზრის სოფ. ხორითის მცხოვრებლების ა. წ. 3 ივნისს შემდგარ საზოგადო კრების ოქმი, რომელზედაც მათ დაადგინეს აღძრან სათანადო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა სოფ. ხორითი ხორაგაულის თემიდან გადარიცხულ იქნას ლაშე-ღვერკის თემში და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ სოფ. ხორითი ხარაგაულის თემის ადმინისტრატიულ ცენტრიდან სამჯერ მეტის მანძილითაა დაშორებული, ვიდრე ლაშე-ღვერკის ასეთივე ცენტრიდან, რასაც თავის მხრით ადასტურებს შორაპნის მაზრის რევკომიც, ბ) რომ, მაშასადამე. სოფ. ხორითის მცხოვრებთათვის ადმინისტრატიული, სასამართლო თუ კულტურული დაწესებულებანი ლაშე-ღვერკისა უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ასეთივე დაწესებულებანი ხორაგაულის თემისა და გ) რომ, ლაშე-ღვერკის თემი მცხოვრებთა რაოდენობით გაცილებით მცირეა (462 კომლია), ვიდრე ხორაგაულის თემი (1853 კომლი), დაადგინა: 1)გამორიცხულ იქმნას სოფ. ხორითი შორაპნის მაზრის ხორაგაულის თემიდან და მიწერილ იქმნას იმავე მაზრის ლაშე-ღვერკის თემზე და 2) ასლი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს შორაპნის მაზრის რევკომს და მილიციის უფროსს სათანადო განკარგულებათა მოსახდენათ.

შინ. საქ. სახალხო კომისარის
მოად. **ნ. სოკოლოვსკი.**

ადმინ. ერთეულთა განყოფილების
გამგე **გრ. გველესიანი.**

1921 წ. სექტემბრის 27.

მიწად-მოქმედების სახ. კომის.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცირკულიარი № 5.

მიწის ღალის ანუ იჯარის შესახებ.

(მიწად-მოქმედების კომისარიატის ცირკულიარის № 3 დასამატებლათ და განსამარტავათ).

მიუხედავათ იმისა, რომ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ რამდენიმეჯერ იქნა ახსნილი და განმარტებული ღალის ანუ მიწის იჯარის საკითხი (იხ. ცირკულიარი № 3 და სახალხო კომისარის ახსნა განმარტება სამაზრო რევკომების და მიწის სამაზრო განყოფილებების მიმართ აგვისტოს 3 რიცხვიდან, გაზეთ „კომუნისტი“ № 129, გამოცემული შემდეგ ცალკე წიგნაკათ) ეს საგანი ალაგ-ალაგ სოფლად ჯერ კიდევ ბნელი გაუგებრობას იწვევს.

ამიტომ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი ამ ნიადაგზე ყოველივე გაუგებრობის მოსასპობათ, თანახმათ მიწის დეკრეტისა (№ 17) და სხვა და სხვა დროს გამოცემულ ახსნა-განმარტებათა, განმეორებით აცხადებს, რომ ძალაში რჩება:

პირველათ, კომისარიატის **ცირკულიარის № 3 პირველი მუხლი**, რომელიც ამბობს: არავინ გასცეს მიწა სამუშაოდ ქირით ან ღალით, გარდა წვრილ შვილებიანი ქვრივი დედაკაცებისა, სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთა და ისეთი პირებისა, რომლებიც დასნეულების ან ღრმა მოხუცებულობის გამო თვითონ ვერ შეძლებენ მიწის დამუშავებას და არც ოჯახში ეყოლებათ მიწის მუშაკი“. ამ მუხლის სისწორით გასაგებათ და ცხოვრებაში ადვილად გასატარებლათ საჭიროა შემდეგი ახსნა-განმარტებით ვიხელმძღვანელოთ:

ა) ამ მუხლს საერთოთ დროებითი ხასიათი აქვს, ე. ი. ის ძალაში დარჩება მანამ, სანამ მუშათა და გლეხთა სახელმწიფო შესძლებდეს აქ ჩამოთვლილ ოჯახების არსებობის სავსებით უზრუნველყოფას (სოციალური უზრუნველყოფა);

ბ) ყოველ შემთხვევაში ამ მუხლში იგულისხმება მიწის ისეთი ნაკვეთების გაცემა, რომლებიც საშუალო ნორმას არ აღემატებიან, ე. ი. ისეთ ნორმას, რომელიც საჭიროა საშუალო ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ;

გ) სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთ შეუძლიანთ, რა თქმა უნდა, დროებით, სანამ იმათ მუშურ-გლეხური სახელმწიფო უზრუნველყოფს, საღალოთ მიწის გაცემა მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ოჯახის **ერთად-ერთი მარჩენელნი არიან** და სხვა მარჩენალი ოჯახს არ მოეპოვება;

დ) რაც შეეხება წვრილშვილიან ქვრივ დედაკაცებს, ამათ, რა თქმა უნდა, შეუძლიანთ მათ სარგებლობაში არსებული არა უმეტეს საშუალო ნორმის მიწა გასცენ საღალოთ; მაგრამ ბევრათ უფრო მისაღები და ხელსაყრელი იქნება, როცა ასეთ მიწებს დაუმუშავებს მათ მუქთათ, უსასყიდლოთ, მთელი სოფელი ან თემი.

მეორეთ, ძალაში რჩება აგრეთვე ამავე ცირკულიარის (№ 3) **მეორე მუხლი**, სახელდობრ: **„საზიაროთ გაცემული წვრილი და საშუალო ზომის მიწების შესახებ პირობები** უნდა ძალაში დარჩეს ამ წლის მოსავლის მოწევამდე“. სამწუხაროდ, ამ ნათელ და ადვილად გასაგებ მუხლის აზრი და მნიშვნელობა უმეტეს ნაწილად ვერ გაუგიათ და მას ხსნიან და განმარტავენ სრულებით სხვა-ნაირად; მაგალითად, სიტყვა **„საზიარო“ ესმით**“ როგორც **„საღალოთ“**. ეს პირდაპირ **გადასხვაფერება** ან გაყალბებაა ამ მუხლის მთელი მნიშვნელობის. საზიარო ნიშნავს **თანამშრომლობით** ან **ამხანაგურ ერთიერთობას** ორი ან რამოდენიმე პირისას, და სრულებით არა ქირით ან საღალოთ მიწის გაცემას. ასე ესმოდა ეს სიტყვა მიწად-მოქ-

მედების კომისარიატს წინეთ, (იხილე Вестник комис. Вн Дел.№ 4) და ასე ესმის ეს სიტყვა მას დღესაც, და სხვა ნაირად გაგება ამისი შეუძლებელია. ამ მუხლის ძალით არას გზით არ შეიძლება მიწის სარგებლობისათვის ღალის აღება, რასაც, სამწუხაროდ, ალაგ-ალაგ თურმე ადგილი ქონებია ჩვენში. ყველაფერი ეს აუცილებლათ უნდა გამოსწორდეს, თანახმად იმ განმარტებისა, რომელსაც ჩვენ აქ ვიძლევით.

ამ ნაირათ, ხსენებულ ცირკულიარის მეორე მუხლი ეხება ისეთ შემთხვევას, როცა ორი ან რამოდენიმე პირი, წვრილი ან საშუალო ზომის მიწების პატრონები ერთმანეთს პირობას უდებენ და მოსავალს ინაწილებენ, ურთიერთ შეთანხმებით.

ასეთ პირობების გაბათილება და არ ცნობა, — ეს იქნებოდა წვრილი და საშუალო გლეხ კაცების ინტერესების წინააღმდეგ წასვლა, და, აშკარაა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი ასე ვერ მოიქცეოდა.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ძველ ურთი-ერთობათა უკან დაბრუნება ან აღდგენა შეუძლებელია, მიწის საღალოთ გაცემა გაუქმებულია. ყველა რევოლიუციონურ საძაზრო და სათემო კომიტეტებს და აგრეთვე მიწად-მოქმედების სამაზრო განყოფილებებს ევალებათ მთელი პასუხისმგებლობა ყველა დადგენილებათა და ახსნა-განმარტებათა ცხოვრებაში გასატარებლათ, და თუ მათ შეხვდებათ რაიმე გაუგებრობა ან დაებადებათ რაიმე ეჭვი სხვა და სხვა საკითხის გადაჭრის დროს ღალის ან მიწის იჯარის ნიადაგზე აღძრულის, სამაზრო და სასოფლო რევკომების და მიწად-მოქმედების ადგილობრივი გასყოფილებები ვალდებულნი არიან დაუყონებლივ მიმართონ ყველა ამის შესახებ პირდაპირ **მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს** ან მასთან არსებულ **განსაკუთრებულ საადგილ-მამულო კომისიას და იქიდან მიიღონ პასუხი.**

კომისარიატი აცხადებს, რომ მიწის საკითხის საერთოთ და საადგილ-მამულო დავის კერძოთ გადაჭრის დროს, თუ მოხდება გადახრა კანონიდან ეს გადახრა უნდა **ხდებოდეს მშრომელი, ლარიბლატაკი, გლეხ კაცების,** და არა მდიდაროს ან მუქთა-ხორების სასარგებლოთ. აი მთავარი გეზი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანოები და იმათი ცალკე წარმომადგენელნიც.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი

ფ. მახარაძე.

წარმოების ასაღორძინებლად.

სახალხო კომისართა საბჭოს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება მუშაბისა და მოსამსახურეთა შრომის ფასის მიცემის ახალი წესის შესახებ *)

16 სექტემბერს, სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა და მიიღო შემდეგი „ძირითადი დებულება ტარიფის საკითხის შესახებ", რომელიც წინასწარ განხილულ იყო სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირთა ცენტრალური საბჭოსა და რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

ნუ იქნება ინჟინერი—მეჯინიბე და მემანქანე—მებაღე!

ახალი ეკონომიური პოლიტიკა გულისხმობს ზომების მთელ სისტემას, რომელიც მიმართულია სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად. მრეწველობის ყოველი დარგი, ყოველი ცალკე წარმოება, ვალდებულია აწარმოოს სწორი და სასტიკი ანგარიში ნედლი და სხვა ყოველგვარი მასალის, წარმოების, ფაბრიკატების ღირებულების და სხ. წარმოება უნდა მოეწყოს უდეფიციტო წარმოების პრინციპის მიხედვით (იმათ გამოკლებით, რომელიც სახელმწიფო მეურნეობის სისტემაში აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს, იმის მიუხედავად თუ რამდენად სასარგებლოა სამეურნეო თვალსაზრისით, როგორც მაგალითად თავდაცვის საშუალება და სხ.).

თავდაპირველად უნდა შეიცვალოს სატარიფო სისტემა, როგორც ძირითადი ფაქტორი მრეწველობის განვითარებისა. სატარიფო სისტემას საფუძვლად უნდა დაედვას რეალური საფუძველი, უნდა მოხდეს სატარიფო სისტემის მაქსიმუმამდე გამარტივება, გამოყოფვა საერთოდ სახმარი სასუსათო და პროდუქტების ფონდის მუშებისა და მოსამსახურეთათვის, რომლებიც სახელმწიფო მრეწველობაში არიან ჩაბმულნი. უნდა გამოეყოს წარმოებას ყველაფერი ის, რაც პირდაპირ არაა დაკავშირებული მასთან და სოციალური უზრუნველყოფის ხასიათს ატარებს უნდა დამკვიდრდეს მტკიცე კავშირი მუშებისა და მოსამსახურეების არმოებასა და დაწესებულებებთან. სახელმწიფო დახმარება საბავშვო ბაღების, სახლების, თავშესაფარის და სხ. სახით, არამც დაარამც არ უნდა იყოს დაკავშირებული შრომის ფასთან. აღნიშნულ დებულებათა და შრომის ფასის სისტემის გატარება, მიგვიყვანს იქამდე, რომ წარმოების გარეშემო მოხდება თვითმობილიზაცია კვალიფიციური მუშა ძალებისა. ჩვენ ვერ ვნახავთ მომავალ ინჟინერს, რომელსაც უფროსი მეჯინიბის თანამდებობა ეკიროს, ან სასუსათო ნაწილის გამგეთ იყოს, ან და საჯზარეულოს ჭურჭლის და მოწყობილობის შეკეთებას აწარმოებდა; ჩვენ ვერ ვნახავთ მომავალში აგრეთვე კვალიფიციურ მუშებს, რომლებიც კარტოფილს რგავდენ და სანაგვე ორმოებს ასუფთავებდენ.

რეალური საფუძვლებიდან გამომდინარე სატარიფო სისტემა, არის მუშათა კლასის ორგანიზაციის, წარმოების ძირითადი ელემენტი მთავარი ფაქტორი.

1. მეტს მუშაობ—მეტი მიიღე.

სატარიფო ნორმის დროს, უნდა გამოვდიოდეთ შემდეგი დებულებიდან: ხელფასის მინიმუმი—შრომის მინიმუმი.

---

*) „ბედნოტა" № 1027, 1921 წ. 18 სექტემბერი.

ხელფასის გადიდება უნდა იყოს პირდაპირ და უმეშვეოდ დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და წარმოების ამაღლებაში მუშის მონაწილეობის რაოდენობასთან.

2. ყველაფერი რაც ნატურით რიგდება, უნდა ანგარიშებულ იქნეს შრომის ფასში საბაზრო შეფასების მიხედვით.

შრომის საფასურში უნდა შედიოდეს ყველაფერი, რასაც ღებულობენ მუშები და მოსამსახურენი, მაგალითად:

ა) ფული;

ბ) ბინა, გათბობა, განათება, წყალი;

გ) სასურსათო და სახმარი საგნები;

დ) ტანსაცმელი, უფასო მიღება და სხ.

ე) პარიკმახერი, აბანო, თეატრი, პროდუქტები ბაღებიდან და სამეურნეო საბჭოებიდან, და აგრეთვე წარმოებისა და დაწესებულებათა მიერ წარმოებული ხარჯები და სხვა სამსახური, რომელსაც იძლევიან კომუნალური განყოფილებანი;

ვ) მიმოსვლის საშუალება: რკინის გზა, ტრამვაი, საბარგო ავტომობილი და სხ.

ზ) საოჯახო ულუფა, ან სხვა სამუშაო ხელფასის დამატება, რომელიც ეძლევა მოსამსახურეს, ან მუშას ოჯახისათვის;

სახელმწიფოს მიერ გაღებული, ყოველგვარი სამსახური (ნატურით მიცემა) უნდა იქნეს შეფასებული ბაზრის ფასების მიხედვით, რომ მუშას და მოსამსახურეს ჰქონდეთ შეძლება ნათლად და ცხადად შეუგეონ ერთმანეთს რეალური შემოსავალი და გასავალი, რომ შეიგნონ ინტენსიური შრომის საჭიროება, რაც იძლევა საჭირო საცხოვრებელ საშუალებას.

სამუშაო ხელფასი უნდა იყოს დაკავშირებული წარმოებაში მხოლოდ მუშის მონაწილეობასთან, მისი (ხელფასის) ამაღლება კი—წარმოების ნაყოფიერების გადიდებასთან.

3. ფულის და სანოვაგის გაღება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც მუშაობა სწარმოებს.

მუშისა და მოსამსახურეთათვის, ყველაფერი იმის მიცემა, რაც შედის მის ხელფასში, უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ წარმოების და დაწესებულების საშუალებით, „მხოლოდ და მხოლოდ ქარხნის მმართველობის საშუალებით", რომ კავშირი მუშისა და მოსამსახურის წარმოებასა და დაწესებულებასთან სრული იყოს.

4. რაც შეიძლება ნაკლები ჭკუის ძალადატანებული ტაბლიცები, რაც შეიძლება მეტი სიმარტივე და სინათლე ტარიფებში.

ხელფასის გამოანგარიშების სისტემა იმდენად მარტივი და ნათელი უნდა იყოს, რომ ადვილად გასაგები შეიქნეს კავშირი ნაწარმოებსა და ხელფასის შორის, ყოველი მუშისა და მოსამსახურესათვის.

სისტემა უნდა იყოს მოქნილი და თავისუფალი, რომ ნაწარმოების და დაწესებულების გამგეობას შეეძლოს დაუყოვნებლივ გაარჩიოს გამოჩენა ინიციატივის და თვითმოქმედების და სათანადო ნაკაზებით აიძულოს მუშა და მოსამსახურე იმავე მიმართულებით მუშაობის გაგრძელებაში.

5. გაამარტივეთ შეფასება ნარდათ სამუშაოსი.

ნარდათ სამუშაოსათვის ფასის დადგენის დროს, უნდა იქნეს გამოყენებული ის გამოცდილება, რომელიც არის მრეწველობის ყველა მსხვილ დარგში; უნდა უარყოფილ იქნეს ყველა არა ბუნებრივი, რთული და მუშებისათვის გაუგებარი სისტემა.

მოწყობილობის ხარისხი, მანქანების გაცვეთა. ნედლი მასალის ავკარგიანობა და სხვ. უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რომ მუშებისაგან დამოუკიდებელმა გარემოებამ არ იქონიოს გავლენა შრომის ხელფასის მდგომარეობაზე.

6. არა გამათანასწორებელი გაყოფა, არამედ სასყიდელი დამსახურებისა და სპეციალობის მიხედვით.

სხვა და სხვა კვალიფიკაციის, მუშებისათვის, მოსამსახურეებისა, საშუალო ტექნიკური და მაღალი ადმინისტრატიული პერსონალისათვის, სატარიფო ნორმების გამომუშავების დროს, გათანასწორების შესახებ ყოველივე ფიქრი უნდა უკუგდებულ იქნეს.

მაღალი ადმინისტრატიული პერსონალის და კვალიფიციური მუშების რიცხვი, რომელიც მუშაობს რომელიმე წარმოებასა და დაწესებულებაში, არ უნდა აღემატებოდეს გადაწყვეტილ პროცენტს იმ მუშების და მოსამსახურეთა მთელი მასისას, რომელიც იმყოფება რომელიმე წარმოებაში.

7. წარმოებას მიაწოდე მასალა არა მუშების, არამედ დამზადებულის რაოდენობის მიხედვით.

რაციონალურად წაყვანა მრეწველობის ახალი სამეურნეო პოლიტიკის საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი იქნება სურსათის, სახმარებელი საგნების და ფულის ნიშნების მტკიცე ფონდი, იმ მუშებისა და მოსამსახურეთათვის, რომლებიც მუშაობენ წარმოებასა და დაწესებულებებში. ამასთან საჭიროა კატეგორიულად უარყოფილ იქნეს მიცემა სურსათისა წარმოებაში გართული მუშების რიცხვის მიხედვით; გაცემა უნდა ხდებოდეს არა მუშების და მოსამსახურეთა რაოდენობის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წარმოების მიერ გამოშვებული ფაბრიკატის ერთეულის მიხედვით.

8. წარმოებას, რომელმაც ვერ მიიღო სასყიდლის ფონდი სრულად, შეუძლია შეავსოს იგი საკუთარი ნაწარმოების პროდუქტიდან.

სახელმწიფო მუშებისა და მოსამსახურეთათვის დანიშნული სამუშაო ჭირის ფონდი, უნდა იყოს იმის გარანტია, რომ ზევით დასახელებული წესის მიხედვით, მსხვილ მრეწველობაში და სახელმწიფოსათვის საჭირო წარმოებასა და დაწესებულებაში, შრომის ფასი იქნება დაკმაყოფილებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელნი ჩარიცხულ იქნებიან უზრუნველყოფილ შრომის ფასის ანაზღაურების დარგში სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით. (Гарантированная оплата).

შენიშვნა: თუ კი სახელმწიფო ვერ შესძლებს, რომელიმე მიზეზის გამო, თავის დროზე მიაწოდოს წარმოებას ფონდის ხვედრი ნაწილი, მაშინ წარმოებას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირების საბჭოს დადგენილებით, უფლება ეძლევა, გამოჰყოს საკუთარი ნაწარმოებიდან ნაწილი და შეიქნას საკუთარი ფონდი, მუშების ხელფასის დასაკმაყოფილებლად.

ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოება, რომელიც არაა შეტანილი საერთო სახელმწიფო მომარაგებაში და არ სარგებლობს ნედლი მასალით, სათბობით და სხვ. სახელმწიფოს საერთო რესურსით, შესაძლებელია გადაყვანილ იქნენ თავიანთი წარმოების პროდუქტების გამოყოფით ფონდის შექმნაზე, საოლქო და საგუბერნიო ეკონომიური თათბირის დადგენილებით.

9. ხელფასის რაოდენობის ცვლილება თან უნდა მიხდევდეს მანეთის კურსის ცვლილებას.

ამ ფონდიდან შრომის ხელფასის ნამდვილად ანაზღაურების მიზნით აუცილებელია, რომ მანეთის კურსის და სანოვაგის ფასების ცვლილებასთან ერთად, შრომის ხელფასის ჯამიც შესაფერისად იცვლებოდეს, რომ მსხვილი მრეწველობის და სახელმწიფოსათვის უსაჭიროეს წარმოებისა და დაწესებულების მუშებს და მოსამსახურეთ, ჰქონდეთ მტკიცე, ძირითადი მინიმუმი, რომელიც არ იქნება დამოკიდებული მანეთის კურსის და სანოვაგის ფასის ცვლილებიდან.

ცვალებადი დამატებითი ხელფასი იმისი, რასაც ნატურით ღებულობენ ამ წარმოების და დაწესებულების მუშები და მოსამსახურეები, უნდა ქმნიდეს რწმენას იმისას, რომ სურსათის და დროებითი დაბრკოლების დროს, ხვედრი ხელფასი მუშისა და მოსამსახურის მიერ ასრულებული შრომისა, იქნება სრულიად უზრუნველყოფილი.

10. რისგანაა დაკავშირებული სასყიდლის ახალი პირობების გატარება?

მაგრამ, ამ დებულებათა ჩაფუშვის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მიღებულ იქნეს მეთოდი, წარმოების და მრეწველობის ახალი, უზრუნველყოფილი ანაზღაურების (Гарантированная оплата) პირობებში, თანდათანობითი გადაყვანისა, სათანადო წარმოების სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე გადასვლისა (შემოსავლიანობის) და სახელმწიფო რესურსების გაუმჯობესებასთან ერთად.

გადასვლის პირობები და ვადა-უნდა დადგენილ იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირთა ცენტრალური საბჭოს, სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

11 უზრუნველყოფილი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლის შემდეგ, ნატურ. ფონდში ყოველთვიური გადარიცხვა უნდა მოისპოს.

იმ წარმოებათათვის, რომელიც გადაყვანილი იქნება საერთო სახელმწიფო ფონდიდან უზრუნველყოფილი ანაზღაურების პირობებში (Гарантированная оплата), საკუთარი ნაწარმოებიდან ყოველთვიურად ნატურ ფონდში პროდუქტების გადარიცხვა, იმ სახით, როგორც ეს დადგენილია, ახლა უნდა მოისპოს. შესაძლებელია პრემიალური დაჯილდოების დაშვება წლის ბოლოს, ან წელიწადში არა უფრო ხშირად ვინემ ორჯერ, პირველი მაისისა და შვიდი ნოემბრისათვის წარმოების ბალანსის შედგენისას და იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადის განმავლობაში მუშაობა იყო ინტენსიური და წარმოებამ სახელმწიფოს განსაზღვრული შემოსავალი მისცა.

შენიშვნა: მუშაობის დარგში განსაკუთრებულად ღირსაღსანიშნავი შემთხვევების დროს პრემიების მიცემა წლის განმავლობაში უნდა ხდებოდეს იმ ცალკე ფონდიდან, რომელიც ეძლევა ქარხნის მმართველობას.

12. უმუშევრად დარჩენილი მუშების უზრუნველსაყოფელი ნორმების შესახებ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკაზე გადასვლის გამო, ან დროებით შეჩერებული წარმოებაში დაბანდებული უმუშევრად დარჩენილი მუშები, გადადიან განსაზღვრული ნორმების მიხედვით სახელმწიფოს ხარჯზე, რომლის რაოდენობა სასტიკად უნდა იქნეს განსაზღვრული სახელმწიფოს რესურსების ოდნობით, იმ სპეციალური დებულების თანახმად, რომელსაც შეიმუშავებს სრულიად რუსეთის პროფესიონალური კავშირის ცენტრალური საბჭო და შრომის და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. **ულიანოვი** (ლენინი)

საქმეთა მმართველი **ნ. გორბუნოვი**.

მდივანი **ლ. ფოტიევი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა-ოფიციალური განყოფილება.

დიდი გაკვეთილი

რუსეთის ხალხს დიდი უბედურება ეწვია. მშრომელ რუსეთს თავს დაატყდა სტიქიური საშინელება. ბუნებამ გასწირა ადამიანი და მის წინაშე საბედისწერო დილემა წამოაყენა. — შიმშილობას განიცდის ვოლგის ნაპირების სოფლის მუშები. შიმშილის შეუბრალებელი ღმერთი დათარეშობს და სატანაური ხარხარით სცემავს განწირულთა სიცოცხლეს. დამშეულებმა ჰირუტყვებივით მოსპამეს მცენარეულობა, გადაიბალახეს ველები და მინდვრის გულსაც ჩასწვდნენ ბარით, ქვემძრომთა მოსანადირებლად. დამშეულთა რიცხვი მილიონებია. ბავშვები დახოცილ დედების ძუძუებს სძიძგნიან! შიმშილმა მოწამლა ადამიანის გონებაც. მშიერ გლეხს გამოჰყავს ცხენი, მისუსტებული ხელებით ბბამს „ფურაში" და მშიერ-ტიტველი ცოლშვილით მიდის! საითკენ? ეს მან თითონაც არ იცის! ამ საშინელი მგზავრობის მიზანი შიმშილის საიდუმლოებაა! დამშეული სავსებით ემორჩილება სტიქიურ ტერორს, ეზოდან გადაბარგული უკანაც ვერ აცქირდება, რომ ერთხელ კიდევ გადაჰხედოს ოდესღაც საყვარელ კარ მიდამოს. მას ამის ეშინია! შიმშილმა გახურებული შანთით ამოსწვა მისი გულიდან მშობლიურ კერის სიყვარული და შარა გზაზე გამოაგდო. ისიც მიდის უცნობი გზით. მას მიჰყვება ათასები, მილიონები განწირულ თანამგზავრებისა!.. გამუდმებულ თრევა ხეტიალში, ამ ჯოჯოხეთურ პირობებში ერთი მეორეზე იხოცებიან ქალები, ბავშვები... დანარჩენები კი ისევ მიდიან სანამ შიმშილის ცელი არ ჩაჰკრავს შრომის უღლით დაშვებულ კისერს... საშინელია ეს სურათი! გონების ამრეკვია მისი შინაარსი! ამ უბედურებამ ანახმაურა მთელი ქვეყანა. ჭეშმარიტად, ეს უდიდესი მეხი დაეცა არა მარტო რუსეთს, არაშედ მთელ მსოფლიოს, მთელ კაცობრიობას როგორც ლახვარი და უკანასკნელი გაკვეთილი! რუსეთის განაწამებ გლეხობისაგან ეს მეხი მოითხოვს ფიზიკურ მსხვერპლს, თანამედროვე „განათლებულმა" კაცობრიობამ კი შესწირა მას სინდისი და მთელი თავისი მორალური ავლადიდება! ცოდვილ კაცობრიობას მოევლინა ეს ტრაგედია „განათლებულ და კულტურულ ადამიანის" უგრძნობა გულის და ბოროტი სულის გამოსამზეურებლად. რუსეთის გლეხობის შიმშილს საქვეყნოდ უნდა ემხილებია „მოწინავე ევროპის" გუმანიური ყოყოჩობა. აქ რა იყო სადავო! რა იყო აქ გაურკვეველი! მზემ ამოსწვა მუშების საზრდო ჭირნახული, სიკვდილის ცელმა ულმობელად შემოხაზა ვეებერთელა ადგილი, ნაადრევ მსხვერპლად განწირული უდანაშაულო ხალხი წარსდგა მის ულმობელ მსჯავრის წინაშე და ყველა მათ, ვისაც კი აქვს პრეტენზია ადამიანის სახელის ტარებისა, უნდა გაეწვდინათ დამშეულებისაკენ ხელი უანგარო და ძმური დახმარებისა. შემზარავ ტრაგედიის წინაშე უნდა დაშვებულიყო პარტიული დროშები, უნდა განელებულიყო პოლიტიკური შეხვეთქება და დაუნდობელი ბრძოლა დროებით მაინც **ადამიანის წინაშე ადამიანურ მოვალეობის მოხდას უნდა შეეცვალა!** კაცობრიობას უნდა მიეღო ყოველგვარი ზომები სიკვდილის კლანჭებიდან ათეულ მილიონ მშრომელთა გამოსაგლეჯათ. ამას მოითხოვდა ქვეყნის სინდისი და თავმოყვარეობა! მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ასეთი შეხედულება „კულტურულ" ევროპაზე შემცდარი და გულუბრყვილო აღმოჩნდა. ეს „ნაღები" თანამდროვე თაობისა, ეს ხშირად მთელი მსოფლიოს მწუხრის „მოამაგე" შარლატანები, გუმანისტები სიტყვით, ვამპირები საქმით, ვერ ასცილდნენ კლასიურ ბოროტებას და რუსეთის დამშევის გაგებისთანავე იარაღი მოიმარჯვეს! ჯერ თითქოს კიდევაც ემზადებოდენ გლეხების დახმარებისათვის, გულკეთილობის ნიღაბიც ჩამოიფარეს, მაგრამ როდესაც დამშეულთა დახმარების საკითხი დაისვა არსებითად და პრაქტიკულად, მშიერ ხალხს პურის მაგიერ ტყვიები მიაწოდეს! პარიეის ბირჟევიკების მიერ რუსეთზე პოლონეთის დაჩქარებული წამობეზღება ვოლგის გლეხობის შიმშილით იყო გამოწვეული და ეს მაშინ, როდესაც მილიონობით მშიერ ტიტველი ბავშვები მიმკრთალის ხმით პურის ნატეხს გვეკედრებიან! ეს არის „განათლებულ" ევროპის საუკეთესო გრძნობების გადაუმეტებელი ფასი და ღირებულება! ასეთი უტიფარი შეუდრეკელობით შეეცადა არისტიდ ბრიანი რუსეთის თვით-მპყრობელ ჯალათის ძველი თამასუქების განაღდებას. ამგვარ „სამართლიან" და „ალტრუისტულ" ზომას მიმართა დახავსებულმა ანტანტამ, ამ ყოველგვარ სამართლიანობის გამაუპატიურებელმა მსოფლიო დემონმა!. ეხლა ბრმასაც უნდა გაეხილოს თვალები. ეხლა მაინც გამონახოს სწორი გზა ჭეშარიტებისაკენ იმ გულუბრყვილოებმა, რომელთაც ჯერ კიდევ სჯეროდათ ბურჟუაზიის გუმანიური ძიდრეკილებანი. მოსკოვის პრესის ცნობით, სატახტო ქალაქების უმდიდრეს უბნებში დამშეულთა დასახმარებლად შეუგროებიათ მხოლოდ **ცხრა შაური!** აქვს კი რაიმე საერთო ასეთ მაგალითს ადამიანურ გრძნობასთან? სრულიად არაფერი! აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორფეხა მხეცებთან, რომლებიც ყოველ პიროვნებში მუშის ყელის გამოლადრაზე ოცნებობენ! დღეს ამაში უნდა დარწმუნდეს ყველა, ვინც კი ცხოვრობს პატიოსანი შრომით, ვისაც მწარე ოფლი სდის საარსებო პურისათვის, ვისაც აქვს პატივი და ღირსება იდგეს მშრომელთა მსოფლიო ლაშქრის რაზმებში. რუსეთის გლეხობის შიმშილი „განათლებულ კაცობრიობის" სინდისის შესაფასებლად არის მოვლინებული. ის თავს დაატყდა მშრომელ რუსეთს მქო-

ნებელთა კლასების, ბურჟუა—მყვლეფელების კაცობამიების უკანასკნელ გაკვეთილად. მაძღარი მშიერს არ დაეხმარება. მუშას ბურჟუა არ გამოიხსნიდა! ყველა მუშამ, მიუხედავად პოლიტიკური მიმართულებისა უნდა შეიისწავლოს და შეიგნოს ეს გაკვეთილი. დღეს უკვე ეწყობა ყველგან მშრომელთა ფრონტი დამშეულ ბლეხების დასახმარებლად. მივეშველოთ ამ საქმეს! გამოვექომაგოთ ჭირში მყოფ მოძმეთ. ჩვენც შეიქნათ მუშა მოსამსახურეთა ყველა წრეებში დამხმარე კომიტეტების ეს იქნება ნამდვილი და უანგარო მოვლა პატრონობა უდანაშაულოთ განწირულებისა. ეს ხელშეუწყობს მუშათა კლასის ინტერნაციონალურ სიმტკიცის გამოკაჟებას. და მაშინ სამუდამოთ დასაფლავდება სისხლისმწოველი ანტანტა და მისი მჭაშები.

საქართველოს სახალხო განკის დაარსების გამო

საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური კურსის შეცვლამ, რომელიც გამოწვეული იყო მთელ რიგ ობიექტიურ პირობებით, ბოლოს და ბოლოს უნდა მოგვცეს ის ეკონომიური ძლიერება და ძალა, რომელიც აქამდე აკლდა ახალგაზრდა სახელმწიფოს.

საბჭოთა რუსეთი, სამოქალაქო ომის განმავლობაში, ძველი წყობილების მარაგით ცხოვრობდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს მარაგიც გამოილია. ეხლა აუცილებლად საჭიროა ახალი დოვლათის შექმნა, რომელმაც სახელმწიფოს ყველა მოთხოვნილებები უნდა დაჭაროს. ძველის ნანგრევებზე უნდა ავაშენოთ უფრო მტკიცე და თანამედროვე პირობებთან შეგუებული ახალი სახალხო მეურნეობა. ულმობელი აუცილებლობა გვიკარნახებს თვის პირობებს. ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ინდუსტრია, რომელიც უნდა იყოს მთლიანი, მტკიცე და გამოკვეთილი ორგანიზმი. ჩვენ სავსებით უნდა გარდავქმნათ და სრულიად ახალ საფუძველზე უნდა ავაგოთ ჩვენი ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სისტემა, უნდა მოვაწყოთ უდიდესი ვაჭრობის აპარატი და უნდა ვაწარმოოთ ტიტანიური ბრძოლა სასურსათო ფრონტზე.

რევოლიუციის ოთხი წლის გამოცდილებამ და გვანახვა, რომ სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრების აღდგენა შეუძლებელი და წარმოუდგენელია მისი მეურნეობის აღდგენის გარეშე. სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ქონდეს ერთი მუდმივი ფულის ერთეული, რომლისაგან უნდა წარმოიშვას სახელმწიფოს მიერ შექმნილ სამეურნეო ფასეულობის ერთგვარი ექვივალენტი; მუშის შრომის შეფასების დროს ჩვენ სწორედ ეს მუდმივი და უცვლელი ერთეული უნდა გვქონდეს საფუძვლად. საშინაო ვაჭრობა და სავაჭრო ურთიერთობა საზღვარგარეთთან, რომლის ფაბრიკატები ჩვენთვის აუცილებელ საარსებო საჭიროებას წარმოადგენენ, დაჟინებით მოითხოვს ამ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და მოწესრიგებას, ვინაიან ჩვენ არ შეგვიძლიან მუდმივად და განუწყვეტლად ვამციროთ ჩვენი. ისედაც მცირე ოქროს რაოდენობა,

ფინანსიური სისტემა (ამ სიტყვის ჩვეულებრივის მნიშვნელობით) ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენში არ არსებობდა. მანეთის კატასტროფიულმა დაცემამ, რომელიც დაიწყო იმპერიალისტური ომის თითქმის პირველ დღეებიდანვე, მიგვიყვანა მანეთის ფასეულობის თითქმის სრულ მოსპობამდე. ოთხი წლის განმავლობაში ფულის ნიშნების მოთხოვნილება იფარებოდა უსაზღვრო ემისიებით და ამის გამო როგორც მთავრობის, ისე ხალხის შეგნებაში მოთხოვნილება ამ ფულის ნიშნების რაოდენობის, განისაზღვრებოდა იმით, რამდენის დაბეჭდვაც შეეძლო მანქანას.

ექსპედიციების მიერ გამოშვებული ფულის ნიშნების რაოდენობა არ იყო ვინმეს მიერ განსაზღვრული და განწესრიგებული. თითქმს ყოველი გუბერნია, ყოველი დიდი ქალაქი (ზოგან არც ისე დიდი ქალაქი), უშვებდა თავის საკუთარ ფულს. და ამ ფულის ნიშნებს უშვებენ მრავალგვარს ზოგჯერ უნომროდ, უსერიოდ, უწარწერეროდ და სხვა განმასხვავებელ ნიშნების გარეშე.

რამდენი არის გამოშვებული ყველა ასეთი ნიშნები ძნელია ამის თქმა, რადგან ამის აღრიცხვა შეუძლებელია. მოსკოვის გაზეთებში მოყვანილ ცნობების მიხედვით რუსეთში დღეს ტრიალობს 20 ათასი მილიარდი მან. ფულის ნიშნები, ეს ციფრი ალბად გაცილებით ნაკლები არის იმ ფულის ნიშნების რაოდენობაზე, რომლებიც ნამდვილად ტრიალშია. და თუ ჩვენ ამას კიდევ მიუმატებთ განაპირა კუთხეების ემისიასაც, მაშინ ზემომოყვანილი ციფრი კიდევ უნდა გავადიდოთ, ჩვენ მივიღებთ ცამეტ-ნოლიან ციფრს! კაცობრიობას ჯერ არ უნახავს ამდენი ფული; ეს რიცხვი თვისი გრანდიოზობით ასტროლოგიურია და არ გამოხატავს ქვეყნის ფინანსებს, ვინაიდან ეს უკვე ფინანსები კი აღარ არის, არამედ რაღაც აბსტრაქტიული, რომელიც, რათაც არ უნდა დაჯდეს, მოსპობილ უნდა იქმნას. ცხადია, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ფულის ემისიის ან მოსპობით, ან მისი მინიმუმამდე შემცირებით და მანეთის კურსის თანდათანობითი აწევით, მისი სახელმწიფოს ხელში თანდათანობითი მოგროვებით.

ამგვარად, სახელმწიფოში ფინანსების შექმნისათვის, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ სრულიად საწინააღმდეგო მუშაობა იმისა, რასაც ვაწარმოებდით ოთხი წლის განმავლობაში. ჩვენ აღარ უნდა გამოუშვათ ახალი ფულის ნიშნები, არამედ უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება შევამციროთ მისი რაოდენობა. სახელმწიფომ თანდათანობით და დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ამ ფულის ნიშნების თვის ხელში მოგროვება და ბოლოს უნდა მოსპოს იგი. ამისათვის უკვე არის მიღებული მთელი რიგი ზომებისა. უპირველესად ყოვლისა მიღებული არის ახალი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მცხოვრებნი განსაზღვრულ თანხას იხდიან სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ სამსახურისათვის, რომელსაც სახელმწიფო უწევს მათ (მაგ. ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონის რკინის გზა და სხ.). რუსეთში, მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში ამით სახელმწიფომ კასამ მიიღო 200 მილიარდი მან. შემოსავალი. ამგვარად, მხოლოდ 2—3 თვის განმავლობაში მთელი იმ ფულის ნიშნების რაოდენობა, რომელიც რუსეთში ტრიალობს, შემცირდა 5 პროცენტით და ამით შექმნა გესაძლებლობა ფულის ემისიის შემცირებისა.

მეორე ზომა მანეთის ღირებულების ასაწევად და ტრიალში მყოფ ფულის ნიშნების რაოდენობის შესამცირებლად არის ისეთი საფინანსო ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც საშუალებითაც შეიძლება ფულის ნიშნების ჩამორთმევა მდიდარ და უზრუნველყოფილ მცხოვრებთაგან. ასეთი ზომები არიან სხვა და სხვაგვარი გადასახადები—ფულისა და ნატურალური.

ეს გადასახადები, რომლებიც დაწესებული არის შემოსავლის კვალობაზე და პროგრესიული ნორმით უმთავრესად ეხება მცხოვრებთა უფრო უზრუნველყოფილ ჯგუფებს, ფულის ნიშნების ძალიან დიდ რაოდენობას აგროვებს სახელმწიფოს ხელში. ეხლა, ჯერ-ჯეროობით შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენი ფული შეგროვდა ამ გზით, რადგან ეს გადასახადები აქამდე იყვნენ საგანგებონი და ერთდროულნი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი მნიშვნელობა სახელმწიფოს ფინანსების მოწესრიგების საქმეში, ფრიად დიდი იქნება. არაპირდაპირი გადასახადების დაწესებაც იმავ მიზანს ემსახურება. იგი დახმარებას უწევს სახელმწიფოს ზედმეტი ფულის ნიშნების მოგროვებაში.

ასეთი არის მაგ. საქაციზო გადასახადი, რომელიც დაწესებული არის სხვა და სხვაგვარ საგნებზე საქ. რევკომის № 75 დეკრეტით.

დასასრულ, მესამე მნიშვნელოვანი ზომა არის მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის ახალ საფუძველზე აშენება, რის შესახებაც სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უკვე გამოიტანა თავისი დადგენილება. ეს დეკრეტი რუს. ცენტრალურ აღმასკომიტეტისა, შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა რუსეთის ახალი ფინანსიურის ერის დასაბამად.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ერთი უმთავრესი საქმე უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა, სწორი წარმოება სახალხო მეურნეობის ფინანსებისა და საერთოდ ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სალაროს გამდიდრებას.

სრ. რუს. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ დეკრეტიდან სჩანს რომ ამ რევოლიუციონურ პერიოდში, 1918—1920 წ. ყველა საბჭოთა დაწესებულებებში და წარმოებებში განმტკიცდა აზრი, რომ საფინანსო კომისარიატი თავის მუშაობას სასურველად ვერ აწარმოებს და მისი ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. ეს შეხედულება,—რომელიც საფუძველს აძლევს უწყებებს, რომ ჯეროვანი ანგარიში არ გაუწიონ საფინანსო სახ. კომისარიატის იმ ზომებს, რომლებსაც იგი იღებს სახელმწიფო სალაროს ინტერესების დაცვისათვის,—ფრიად შემაფერხებელია საფინანსო უწყებისათვის და ძალიან უშლის ხელს საფინანსო პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას.

სახელმწიფო სალაროს შემოსავლის გასადიდებლად დეკრეტით გათვალისწინებულია ახალი ზომების მთელი რიგი. ასე მაგ. ყოველმხრივი შემცირება ხარჯებისა, სმეტის სწორი შედგენა, სალაროს მთლიანობის დაცვა, კრედიტების სპეციალიზაცია და სხ. ამ ზომათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა საბანკო ოპერაციების განვითარებას აქვს, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარების მიზნებს ემსახურება.

დეკრეტის მიხედვით საბანკო ოპერაციებს მეტად დიდ მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

ბანკების პირდაპირი ამოცანა მდგომარეობს, უპირველესად ყოვლისა, ფულის ტრიალის განწესრიგებაში, ანუ რეგულიაციაში. თუმცა თვით ბანკები არ ჭრიან ლითონის ფულებს, არც ფულის ნიშნებს ბეჭდავენ, მაგრამ მათ აქვთ საშუალება, რომ საკუთარის ვალდებულებებით შესცვალონ ეს ფულის ნიშნები და ამით დააკმაყოფილონ მასიური მოთხოვნილებანი.

მეორეს მხრივ ბანკები ის რეზერვუარებია, სადაც თავს იყრის თავისუფალი ფული. ბანკები ხელს უწყობენ თავისუფალ ფულის წარმოებაში დაბანდებას და ამით შესაძლებლად ქმნიან წარმოების აღორძინებას და განვითარებას.

მესამე მნიშვნელოვანი როლი ბანკისა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლიან კლიენტების ურთიერთისადმი ვალდებულება დაფაროს ანგარიშების უბრალო გადაგზავნით და ამით ამცირებს სახელმწიფოსათვის საჭირო ფულის ნიშნების რაოდენობას. საბანკო საქმის განვითარება ამა თუ იმ სახელმწიფოში საუკეთესო მაჩვენებელია მისი მეურნეობა მდგომარეობისა.

საბანკო საქმემ რუსეთში სერიოზული განვითარება დაიწყო მხოლოდ სამოცდაათიან წლებიდან. მისი დასაბამი სახელმწიფო ბანკის დაარსებით იწყება, რომლის წესდების თანახმად სახელმწიფო ბანკს ორი მიზანი უნდა ჰქონოდა: საკრედიტო ვალიუტის გამარტივება და ვაჭრობისათვის ხელის შეწყობა. მაგრამ რადგან ეს ბანკი სახელმწიფო იყო და სამინისტროს ექვემდებარებოდა, ამიტომ ის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს და ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა. იგი სრულიად არ ზრუნავდა ფართო მასის, ხალხის ინტერესების დაცვისათვის და სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის. თავის დანიშნულების მიღწევაში ამ ბანკს ხელს უშლიდა მრავალი შემბოჭველი და დამაბრკოლებელი გარემოებები.

ბანკთან დაარსებული იყო ისეთი განყოფილება, რომელიც საზღვარ-გარეთის ოპერაციებს აწარმოებდა. ბანკს შეეძლო გაცემა და შეძენა საზღვარ-გარეთული ტრატტებისა, ყიდვა ოქროსი და სხ. და ამ საშუალებით ფულის კურსზე არსებითი გავლენა. მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ ამ ბანკს არ შეეძლო საკუთარის საშუალებებით მოგვარება იმ საქმეებისა, რომლებიც მას ქონდა დასახული.

სახელმწიფო ბანკის საქმიანობა ნაყოფიერი იყო ძალიან კერძო კრედიტის მოწყობის მხრივ.

ამას გარდა ის ხელს უწყობდა კომერციულ კრედიტს, ურთიერთ კრედიტის საზოგადოებების, საქალაქო ბანკების და შემნახველ საზოგადოების დაარსებას. ყველა ეს დაწესებულებანი სარგებლობდენ იმ თანხებით, რომლებსაც ბანკიდან იღებდნენ სესხად. ასეთ დახმარებებს ხშირად თან სდევდა თვით ბანკის ინტერესებისათვის დიდი ზარალი.

სახელმწიფო ბანკის საქმიანობამ ვერ მიიზიდა ფართო მასსა. რადგან ის ბანკი უმთავრესად მთავრობის იყო, ამიტომ მისი საქმიანობა მიმართული იყო ამ უკანასკნელის მიზნების განსახორციელებლად. სახელმწიფო ბანკთან ერთად ფართოდ განავითარეს ოპერაციები უკანასკნელ ხანებში დაარსებულმა კერძო ბანკებმაც, რომელთა რაოდენობა რუსეთის ბურჟუაზიის რაოდენობით და კეთილ-დღეობით განიზომებოდა. ეს ბანკები სრუ-

ლიად არ ზრუნავდნენ სახალხო მეურნეობის განვითარებისა და აღორძინებისათვის; ისინი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ სარგებლიანობაზე და სარფის შეძენაზე ფიქრობდნენ. ეს განსაკუთრებით გამოაშკარავდა ომის და რევოლიუციის დროს, როდესაც კერძო ბანკები ერთი-მეორეს ეცილებოდნენ ფულის კურსის დაცემაში, საქონლის ფასების საზღაპროდ აწევაში და საერთოდ სპეკულიაციაში.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ, თავის დროზე ამ ბანკების დახურვა და მათი ფასეულობათა კონფისკაცია, მეტად მიზან-შეწონილი ზომა იყო. ამით ბოლო მოელო სპეკულიაციას და მის ხარჯზე სახელმწიფო სალაროს თანხა გაიზარდა. თანამედროვე მომენტში შექმნილი გარემოებანი დაჟინებით გვიკარნახებენ სამბანკო ოპერაციების ხელ-ახლა განახლების და გაფართოების აუცილებლობას.

ბევრი განცდების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება უკვე შედგა მშვიდობიან აღმშენებლობის გზაზე და მან, უპირველეს ყოვლისა უნდა შეჰქმნას საბჭოთა ახალი სახალხო მეურნეობა. აი, სწორედ, განსაკუთრებით აქ არის საჭირო სამბანკო ოპერაციები.

რასაკვირველია, არსებითად, ეს სამბანკო ოპერაციები ისეთივე ოპერაციებია, როგორც ბურჟუაზიულ ბანკებში იყო, მაგრამ ეხლა ისინი მიმართულნი იქნებიან არა ცალკე პირების, ჯგუფების ან კლასების გამდიდრებისაკენ, არამედ ფართო მშრომელი მასსის—მუშებისა და გლეხების კეთილ-დღეობისაკენ. ცხადია, ის შემოსავალი, რომელიც შეგროვილი იქნება მუშებისა და გლეხების მიერ, მოხმარდება თვით მათ საჭიროებას და არა კერძო პირების გამდიდრებას და ახალ ბურჟუაზიის შექმნას.

ამ მიზნით, სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი, მიხედვით, ა. წ. 15 ნოემბრიდან მოსკოვში უნდა გაიხსნას სახალხო ბანკი **2.000 მილიარდი მან. კაპიტალით რომლის მთავარი მიზანი იქნება სახელმწიფოს ფინანსიურად განმტკიცება, სახალხო მეურნეობის აღორძინება და ფულის კურსის აწევა.** ამავე მიზნით იხსნება განყოფილებები როგორც მთელ რუსეთში, აგრეთვე საზღვარ-გარეთაც. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა ამ მხრივ ძალიან ცოტათი განსხვავდება საბჭოთა რუსეთის მდგომარეობისაგან. მისი ფინანსების მდგომარეობა ისეთივე მწვავეა, როგორც რუსეთში და ორთავე რესპუბლიკებში ამ საერთო მოვლენის მიზეზი ერთი და იგივეა: მეურნეობის დანგრევადაშლამ, უსაზღვრო ემისიებმა და სხ. ფულის კურსი იმდენად დაეცა, რომ თითქმის სრულიად დაუკარგა ღირებულება. ამ მხრივ, რუსეთთან შედარებით, საქართველოს მდგომარეობა უფრო ცუდია, ვინაიდან ბაზარზე საქართველოს ფულის კურსი რუსეთის ფულის კურსზე უფრო ნაკლები ფასობს—10—15 პროცენტით.

ცხადია, რომ რადგან ასეთ მდგომარეობის მიზეზები ერთნაირია, მის წინააღმდეგ ბრძოლის ზომებიც ერთნაირი უნდა იყოს.

საქართველოსათვის ისევე აუცილებელი არის მთლიანი სახალხო ბანკი, როგორც რუსეთისათვის. ეს აუცილებლად არის საჭირო თუ გინდ იმისთვის, რომ შემცირდეს ტრიალში მყოფ ფულის ნიშნების რაოდენობა და გაიზარდოს მისი კურსი.

საქართველოს დიდი მომავალი აქვს, რადგან მდიდარი არის დიდი ბუნებრივი დოვლათით. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საქართველოს მოელის ფართო სავაჭრო ურთიერთობის დამყარება როგორც მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე საზღვარ-გარეთთან.

ამიტომ, საქართველოს ფინანსების შექმნა არის პირველხარისხოვანი და გადაუდებელი საქმე.

საქართველოს რევკომმა, გაუწია რა ანგარიში რეალურ ცხოვრების მოთხოვნილებას, თვისი დეკრეტით (№ 68) დაარსა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი" 200 მილიარდი მან. ძირითადი თანხით.

ქუთაისის გუბერნიის მელიორაციის საკითხი *)

II

მეორე დიდი საქმე არის—დასავლეთ საქართველოის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ქუთაისის გუბერნიის გაშრობა გაწმენდა ჭაობებისაგან. ეს სამუშაო შესდგება სამი ფაქტორისაგან: 1) ამოშრობა თვით ჭაობებისა, ე. ი. ჭაობიანი ადგილისა ფოთის რაიონში, რომლებსაც თითქმის 80 დესიატინა უჭირავს. 2) რეგულიაცია მდ. რიონისა და მის შენაკად მდინარეების მიმდინარეობისა და 3) გამაგრება მდინარეთა იმ ადგილებისა, სადაც შემოდგომითა და გაზაფხულობით ხდება წყალდიდობა. რასაკვირველია, ეს საქმე მეტად გრანდიოზულია და დიდ ხარჯებსაც მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ შედეგებიც მეტად თვალსაჩინო ექნება და მოგებით აანაზღაურებს გაწეულ შრომასა და თანხებს, რადგან ბოლოს ჩვენ შეგვეძინება რამდენიმე ათეული ათასი დესეტინა ნაყოფიერი მიწისა სხვა და სხვა სამეურნეო კულტურის ასაყვავებლად და თვალ-უწვდენელი ველ მინდორი, თითქმის ნახევარი გუბერნია განთავისუფლდება იმ ჭაობებისაგან, რომლებიც ასე სწამლავენ მთელ მიდამოს და ავრცელებენ საშინელ მალარიას. ზემო აღნიშნული საქმის შესრულება საკითხის სირთულის გამო მოითხოვს დიდ წინასწარ შრომას, რომლის შესასრულებლად საჭიროა მთელი კადრი სპეციალისტებისა—ჰიდრო მექანიკებისა, აგრონომების, ინჟენერებისა, ვინაიდან არა კმარა ჭაობების უბრალო ამოშრობა. ხშირად მოხდება ხოლმე (და ამისი მაგალითებიც ძლიერ ბევრია), რომ ჭაობის ამოშრობა უფრო ავნებს ამა თუ იმ კუთხეს ქვეყნისას, ვიდრე აუმჯობესებს მას. მაგრამ ეს ხდება მაშინ, როცა წინასწარი გამოკვლევანი და სამუშაოები არ არის სწორად შესრულებული, როცა არ არის ზედმიწევნით შესწავლილი ის პირობები, რომლებშიაც აუცილებლად უნდა სწარმოებდეს მუშაობა.

წესი და ხერხი მუშაობისა, ხარისხი ამოშრობისა და ამის გაელენა მიდამოზე შეიძლება გამოიცადოს, შესწავლილ იქმნეს მხოლოდ ადგილობრივ.

*) იხილეთ „მოამბე" № 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა მოხდეს ფოთის რაიონის ჭაობების ამოშრობა?—არხების გაყვანით, ან დრენაჟის საშუალებით, თუ ადგილ-ადგილ უნდა დაიდგას ელექტროს ენერგიით ამუშავებული ძლიერი საქაჩავები—ქუთაისის გუბერნიაში ელექტროფიკაციის განხორციელების შემდეგ?—აი ის საკითხები, რომლებიც წინასწარ უნდა იყოს გადაწყვეტილი სპეციალისტებისაგან.

ძირითადი მიზანი ყოველი სასოფლო სამეურნეო ჰიდრო ტექნიკური მელიორაციისა არის—შეთანხმება ნიადაგთან სასოფლო სამეურნეო კულტურისა და აგრეთვე გარეშე პირობებთან იქ, სადაც ნიადაგი არსებითად არ არის ხელსაყრელი მცენარეულობათა აღმოცენებისათვის. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება ნიადაგის წყლის რეჟიმის რეგულიაციით. ეს რეგულიაცია ამავე დროს არის ძლიერი საშუალება ნიადაგის საჰაერო რეჟიმის მოსაწესრიგებლადაც, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეების ცხოვრებაში და რაც სათანადო მიმართულებას აძლევს ყველა ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებს.

გარდუვალ ეკონომიურ კანონების მეოხებით, ყოველ გვარი მელიორაცია და კერძოთ ამოშრობის მელიორაცია, შეიძლება აყვანილ იქმნეს ისეთ ინტენსივობამდე, რომ დიდის მოგებით დაიფაროს წლიური ხარჯი.

მელიორაცია დასავლეთ საქართველოში, იქნება ეს ჭაობების ამოშრობა, რიონისა და მის ტოტების მიმდინარეობათა მოწესრიგება თუ სხვა რამ სამუშაო, დიდ ცვლილებას შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ პირობებში. აქ შეუძლებელი და გამოუსადეგი იქნება ის ექსტენსიური კულტურა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მელიორაციამდე.

ამგვარად, მელიორაციამ, თვისი განხორციელების ფაქტით, რამდენადაც კი შესაძლებელია ეს დღევანდელ ეკონომიურ პირობებში, მომავალში ინტენსიურად უნდა გამოიყენოს ამოშრობილი მიწები. რასაკვირველია, საეჭვოა იმის მოლოდინი რომ ქუთაისის გუბერნიაში სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაცია მაშინვე მოხდება, როგორც კი მის ტერიტორიაზე შესრულებულ იქნება ამოშრობითი სამუშაო. ეს წარმოუდგენელია მანამ, სანამ საბოლოოდ არ იქნება აღდგენილი ჩვენი დანგრეული და დაშლილი ეკონომიური ცხოვრება და ძლიერულ არ იქნება ომითა და რევოლიუციით გამოწვეული მწვავე შედეგები. მაგრამ მიუხედავათ ამისა თვით ადგილობრივი სპეციფიური პირობები მაინც დაჟინებით მოითხოვენ ხსენებულ რაიონის ამოშრობას. საქმე იმაშია, რომ არსებულ პირობების გამო, სამელიორაციო მუშაობის წარმოება დასავლეთ საქართველოში ამავე დროს არის სანიტარული და გამაჯანსაღებელი საქმე, რომელიც ამ მდიდარ ადგილებში მოსახლე ხალხს გაანთავისუფლებს მუდმივი მალარიისაგან. თუმცა ჩვენი ეკონომიური პირობები ისეთია, რომ შეუძლებელია ინტენსიური კულტურის შემოღება და ამოშრობის სამუშაოს წარმოებას არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ტექნიკური ამოცანები და მელიორაციის ეკონომიურ მოქმედების პირობები, მაგრამ მაინც უნდა შევეცადოთ რომ რაც შეიძლება ნაკლები ხარჯის გაღებით მოვახდინოთ მელიორაცია და რაც შეიძლება სასარგებლოდ იქმნას გამოყენებული ის შრომა და კაპიტალი, რომელიც იქნება გადადებული ამ საქმისათვის.

ჭაობების ამოშრობის სისტემის ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ამოშრობილ ადგილებში დაცული უნდა იყოს ნიადაგის განსაზღვრული სისველე, რომელიც ეხლანდელ კლიმატიურ პირობების მხრივ ეხამება ამ ადგილების ბუნებრივ მდებარეობას და რომელსაც შეუძლიან დიდად შეუწყოს ხელი მიწის ნაყოფიერებას.

ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი ხდება ამოშრობ არხების განსაზღვრულ მდებარეობით და სიდიდით. ყველა არხები შეიძლება განწესრიგებულ იქმნას ორ ძირითად ნაწილად: 1. სარეგულიაციო ნაწილი, ე. ი. ის არხები, რომლებსაც მიზნად აქვთ განაწესრიგონ ამოშრობილ ადგილების ნიადაგის სისველე. ამ არხების მიზანი არის ამოსაშრობ ადგილის წყლების დაწევა განსაზღვრულ დონემდე და ამით განსაზღვრულ ფარგლებში ნიადაგის სისველის დაცვა; 2. გამტარებელი ნაწილი, ე. ი. ის არხები, რომლებსაც მიზნად აქვთ წყლის ნაკადის გატარება და რეგულიაცია. ამ უკანასკნელის მიზანია ამოსაშრობ ადგილიდან ზედმეტი წყლის გადაქაჩვა.

ქუთაისის გუბერნიის ამოსაშრობი ადგილები მეტად მრავალგვარია მიწის სისველის მხრივ. ეს მრავალგვარობა შეიძლება დავყოთ სამ ძირითად კატეგორიად: 1) მიწები, რომელთა მოჭარბებულ სისველის მიზეზი არის ნიადაგის ქვეშე წყლის სიახლოვე, რაიც შენიშნულია ქუთაისის გუბერნიის ბევრ ადგილებში; 2) მიწები, რომელთა მოჭარბებული სისველე არის შედეგი ატმოსფერის სინოტივისა ან საერთოდ წყლების ზედაპირისა. ასეთი არის შავი ზღვის მთელი სანაპიროები და მდ. რიონის მიდამოები და მისი შენაკადები: 3) ის მიწები, რომელთა მოჭარბებულ სისველის საფუძველი არის ორივე ზემოხსენებული მიზეზი ერთად.

პირველი კატეგორიის მიწები კიდევ შეიძლება დაიყოს თავის მხრივ ორ ჯგუფად: ა) ის მიწები, რომელთაც აქვთ მუდმივი შენაკადები და უცვლელი დონე წყლისა: ბ) ის მიწები, სადაც მიწის ქვეშე წყალი არ არის დიდი სიმძლავრისა.

მეორე კატეგორიის მიწებიც თავის მხრივ შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: ა) მიწები, რომლის ზედაპირი, რელიეფის პირობებისა გამო, მოცული არის წყლით; და ბ) მიწები, რომელთა სისველე გამოწვეული არის ატმოსფერის სინოტივისაგან. დასასრულ, მესამე კატეგორიის მიწები წარმოადგენენ ზემოჩამოთვლილ კატეგორიების სხვა და სხვა გვარ შეკავშირებებს.

მოჭარბებულ სისველის მიწების ყველა აღნიშნული კატეგორიები და ჯგუფები ქუთაისის გუბერნიაში შეიძლება ეკუთვნოდენ ნიადაგის სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა გვარ სისველეს, მინერალურ და ორგანიულ სხვა და სხვა გვარ შემადგენლობას.

ყველა ამ პირობების მიხედვით იცვლება თვით ჭაობების ამოშრობის მეთოდები და ნორმები; ამის მიხედვით ძალიან ვითარდება ან სარეგულიაციო და ან გამტარებელი არხების სისტემა.

ქუთაისის გუბერნიის ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური და სხვა პირობების ზედაპირული გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ ამ ადგილებში ჭაობების ამოშრობის მეთოდები და ნორმები ფრიად მრავალგვარი და მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამის გამოსარკვევად აუცილებელია რაც შეიძლება მეტი სპეციალისტ ჰიდროტეხნიკოსების წინასწარი მუშაობა.

ქუთაისის გუბერნიის ადგილმდებარეობა უალრესად მრავალგვარია. ასე მაგ. მდინარეები, რომლებიც არიან რიონსა და ენგურის შორის, იმდენად დაბალნი არიან, რომ ქარიშხალის დროს ზღვის ტალღა წალეკავს ხოლმე ზღვის ნაპირებიდან 5—10 ვერსის მანძილით დაშორებულ მრავალ ასეულ და ათასეულ დეს. მიდამოს. ამ ადგილების ნიადაგს ტყიან-ჭაობიანი ხასიათი აქვს. აქ, ჭაობიან ნიადაგის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა ბრძოლის განსაკუთრებული მეთოდები, ვინაიდან მიწის ნიადაგის ,ჰორიზონტალურ ზედაპირისა და ნიადაგის-ქვეშე წყლის სიახლოვისა გამო, ღია არხები საქმეს ვერ უშველიან.

იგივე უნდა ითქვას ფოთისა და ბათომის სანაპიროების შესახებ, რომელთა სხვა და სხვა ნაწილებში ნიადაგი არამც თუ ზღვის დონეზეა, არამედ ზოგგან დაბალიცაა. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოდგეს დამბები (წყლის ყორე, საგუბარი), რომლებიც ნიადაგს დაიფარავენ ზღვის ტალღების შემოჭრისაგან.

ძალიან დიდი მიდამო ზღვის სანაპიროებისა დაწყებული ენგურიდან ფოთამდე და თითქმის ბათუმამდე, სივრცით 5—20-დე ვერსი ამ ჟამად სრულიად დაუსახლებელია. ეს მიდამო დიდი ხანი არ არის, რაც წყლიდან გამოვიდა და ძალიან მცირე სიმაღლით არის დაშორებული ზღვის დონეს. მისი თანდათანობითი ამაღლება, ზღვის სანაპიროების მანძილიდან გამოშორების მიხედვით, ძალიან მცირეა. ასე მაგ. რიონის ზევით ,ზღვიდან 40 ვერსის მანძილზე, ნიადაგი მაღლდება მხოლოდ 15 ფუტით, 90 ვერ. მანძილზე, სადაც ცხენისწყალი უერთდება რიონს, 40 ფუტით და მხოლოდ 150 ვერსის მანძილზე, ქუთაისის მახლობლად, ეს მიდამო მთავრდება მნიშვნელოვანი სიმაღლით. ამ მიდამოების მდინარეები მხოლოდ უმნიშვნელო ყორეებით არის შემოზღუდული და ქარიშხალის დროს ზღვის ტალღები შეიჭრება და დაფარავს ხოლმე მთელ ამ მიდამოში დაბალ მდინარეებს. მრავალ რიცხოვანი მდინარეები, რომლებიც გადიან ტყიან და დაბლობ ადგილებზე, ნელა მიმდინარეობენ და ქმნიან ჭაობებს და საფლობ ადგილებს, რასაც ხელს უწყობს რბილი სუბტროპიკული ჰავა საშუალოდ t^0 მეტად სუსხიანი თვისა $+5—+6^0$ და საშუალო რაოდენობა ატმოსფერის ნალეკისა 2000 m|m.

ამ მხრივ განსაკუთრებით მშვენიერ პირობებში იმყოფება ქ. ფოთი და ქ. ბათუმი. ეს უკანასკნელი თითქმის ნახევრად დაბლაა ზღვის დონის მიმართ. ფოთი, ამავე მიზეზების გამო და დიდი ტბის, ანუ პალიასტომის ტბის სიახლოვის გამო, მოითხოვს მთელ რიგ სამელიორაციო მუშაობას. ამ შემთხვევაში სასურველ შედეგის მიღწევა საეჭვოა პალიასტომის ზღვასთან მეერთებით და ჭაობიან მცენარეულობის მოსპობით. გარდა ამისა, ეს ზომა მიწის სივრცის ვერ გაადიდებს.

ქუთაისის გუბერნიაში მრავალი ადგილები მტკვარისა და არაქსის შესართავის დაბლა იმყოფებიან. მდინარეების ყოველ წლიური ადიდება იქ ჰქმნის მრავალ-რიცხოვან ჭაობებს; მდინარეების კალაპოტიდან გადმოვარდნა, როგორცმ ავ. 1897 წ. მთლად განადგურებას და დაღუპვას უქადის სასოფლო-მეურნეობის კულტურის საკმაოდ მოზრდილ მიდამოს და აქ მოსახლე ხალხის ქონებას და სიცოცხლესაც კი.

ამგვარად, ცხადია, რომ ქუთაისის გუბერნიის ადგილების ბუნებრივი პირობები მეტად მრავალფეროვანია და ამის გამო ასეთივე მრავალფეროვანი უნდა იყოს მისი ამოშრობის სისტემა, და ამ სისტემის მეთოდები და ნორმები.

როგორც სარეგულიაციო, ისე გამტარებელი ნაწილი ამ სისტემისა მრავალ-გვარი უნდა იყოს და შეფარდებულ უნდა იქმნას ამა თუ იმ ადგილის განსაკუთრებულ პირობებთან.

იმ განსაკუთრებულ პირობებისა გამო, რომელშიაც არის ქუთაისის გუბერნიის ტერიტორია, მისი მელიორაცია არ შეიძლება გახისაზღვროს წყლის გარდასაქცევ არხების და მილების მოწყობით, ვინაიდან აქ არის ბევრი ისეთი ადგილი, სადაც ეს სისტემა ვერ განხორციელდება. ყველა ამ სამუშაოს ასრულებისათვის საჭიროა ეხლავე, დაუყოვნებლივ მუშაობის დაწყება. რამდენადაც დიდი არ უნდა ,ყოს ამ მიზნის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯი, იგი მაინც გამოსყიდულ იქ�იმით, რომ ძალიან გაამდიდრებს და გაჯანსაღებს მთელ მხარეს.

ამის თვალსაჩინო მაგალითი არის სოხუმი, რომელიც თითქმის ანალოგიურ პირობებში იმყოფებოდა და რომელიც მელიორაციის შემდეგ, რაიც გამოიხატა ახლო-მდებარე ჭაობების ამოშრობაში, გადაიქცა საუცხოვო საკურორტო ადგილად.

ლ. სარაჯიშვილი.

მიწადმოქმედების ახალი ერა

(სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ)

ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასთან ერთად იბადება მთელი რიგი ღრმა სამეურნეო მნიშვნელობის საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტაზედაც დამოკიდებულია სახელმწიფო მეურნეობის მთელი მომავალი არსებობა,

ამ გადასაწყვეტ საკითხთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხთაგანს შეადგენს საკითხი სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსების, ე. ი. ისეთი ინსტიტუტის შექმნის შესახებ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს მძლავრს ორგანიზაციას და რომელიც სახელმწიფოს ნამდვილად დაეხმარება სამელიორაციო მუშაობაში.

სამელიორაციო ამხანაგობანი უმთავრესად ანხორციელებენ სასოფლო სამეურნეო მელიორაციას, ესე იგი ისეთ მელიორაციას, რომელიც უმეშვეოდ სცელის და აუმჯობესებს მიწადმოქმედების ხასიათს, და მის საშუალებათ და აგრეთვე ხელს უწყობს სამეურნეო სიმარცის გაფართოებას.

სამელიორაციო ამხანაგობათა განვითარების ხასიათი და მათი რიცხვის სიმრავლე მხარეში, საუკეთესო მაჩვენებელია სახელმწიფოს სასოფლო-მეურნეობისა და ამ სახელმწიფოს სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში, მცხოვრებთა მონაწილეობის ხასიათისა. სამელიორაციო ამხანაგობა, ეს არის სახელმწიფოს სოფლის მცხოვრებთა თვითმოქმედება.

რამდენადაც უფრო ბევრია ასეთი ამხანაგობანი, რამდენადაც უფრო ხშირად არის გაბმული სახელმწიფოში ამ ამხანაგობათა ქსელი და რამდენადაც უფრო ინტენსიურია მათი მოღვაწეობა, იმდენად უკეთესი და მაღალია ამ სახელმწიფოს სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა.

რა არის სამელიორაციო ამხანაგობა? სამელიორაციო ამხანაგობა არის კავშირი რამოდენიმე სოფლის მეურნესი, რამოდენიმე მიწის დამმუშავებელი პირისა, ამა თუ იმ ადგილას, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული თავიანთ ოლქში გააუმჯობესონ ის მიწები, რომელთა გაუმჯობესებასაც თვითონ სცნობენ აუცილებლად.

ეს კავშირები სარგებლობენ იურიდიული პირის ზოგიერთი უფლებებით, სახელმწიფოსაგან სარგებელ-გადაუხდელად იღებენ სესხსა და ნატურალურ დახმარებას, სდებენ ხელშეკრულებას რაგორც ერთ-ურთ შორის, ისე ფაბრიკებსა და ქარხნებთან—ამ უკანასკნელთა მიერ ამა თუ იმ სატეხნიკო წარმოების შესახებ—მელიორაციის დარგში.

სამელიორაციო ამხანაგობა არის რუსეთის გლეხობის რევოლიუციონური შემოქმედების ნაყოფი და გამოწვეულია ცხოვრებაში ამ გლეხობის მისწრაფებით—რომ მას გამოეჩინა თავისი თვით მოქმედება მიწადმოქმედების საქმის გაუმჯობესებაში და დახმარება გაეწია მთავრობისათვის თავისი შრომით, ადგილობრივი საჭიროებისა და პირობების ცოდნითა და აგრეთვე ფულითა და სხვა საშუალებებითაც.

ასეთი ამხანაგობანი არსებობდნენ აგრეთვე წინად ძველი მთავრობის დროსაც—„სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა და საზოგადოებათა“ სახელწოდებით, მაგრამ ისინი დიდად არ განვითარებულან, ვინაიდან ამ ორგანიზაციებში სახელმწიფოს მცხოვრებთ არ გამოიჩინეს საკმაო ყურადღება ამ ორგანიზაციებისადმი და ვერ შეაფასეს ყველა ის უპირატესობანი და სარგებელი, საც იძლეოდენ ხსენებული ორგანიზაციები.

ამასთანავე ერთად, ეს ამხანაგობანი, სარგებლობდნენ რა სპეციალურ სამელიორაციო კრედიტით, არა ჰხარჯავდნენ მას თავისი პირდაპირის დანიშნულებისამებრ და ამ რიგად მიუღწეველი რჩებოდა ის მიზანი, რომელისთვისაც ისინი იყვნენ მოწოდებულნი, და რისთვისაც მათ ეძლეოდათ საგანგებო თანხა.

გარდა ამისა ხსენებულ ამხანაგობათა წევრებს შეადგენდა მემამულეთა უმრავლესობა, რომელნიც ძლიერ ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი მელიორაციით, უკეთუ იგი მათი მამულების უშუალო სარგებლობისათვის არ იქნებოდა გამოყენებული.

ამიტომ ეს ამხანაგობანი ათრევდენ თავიანთ უბადრუკს არსებობას და ძალიან იშვიათ შემთხვევაში ასრულებდნენ იმ სამუშაოს, რომელთა შესასრულებლადაც ისინი იყვნენ მოწოდებულნი.

მთელს რუსეთში ასეთი ამხანაგობის რიცხვი რამოდენიმე ათეულს აღწევდა,—მათს რიცხვში კავკასიაში იყო რვა ამხანაგობა. ეხლა კი ამ ამხანაგობათ კვლავ მოელისთ აღორძინება ახალის, მაგრამ უკვე ნაყოფიერის მოღვაწეობით. ჩვენ ვამბობთ ნაყოფიერის მოღვაწეობით, იმიტომ, რომ მათს წევრებს შეადგენენ არა მემამულენი, რომელნიც თავიანთი ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებენ თავისი მამულის გარეთ, და ძლიერ ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი თავიანთის მიწათმფლობელობით, ან უკედ რომ ვსთქვათ, ამ საქმით დაინტერესებულნი იყვნენ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი მათ საშუალებას აძლევდა უზრუნველად ეცხოვრათ სატახტო და სხვა დიდ ქალაქებში,—არამედ ამ ამხანაგობათა წევრებს შეადგენენ გლეხები, ესე იგი მთელი მიწათმოქმედი მოსახლეობა სახელმწიფოსი.

ეხლა, მთელი სამუშაო, რომელიც კი ეხება მელიორაციას და მიწის გაუმჯობესებას, სამელიორაციო ამხანაგობათა და სახელმწიფოს სახით, გადადის მიწის მოსარგებლეთა ხელში, რომელნიც ერთმანეთს საურთიერთო დახმარებას უწევენ—თავიანთ მუშაობაში.

რუსეთის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, სამელიორაციო ამხანაგობათა ორგანიზაციის საკითხი აღიარებულია პირველ ხარისხოვან სახელმწიფო საკითხად.

დეკრეტის თანახმად, სამელიორაციო ამხანაგობის დაარსება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაგულისხმევ ადგილზე მცხოვრებ მიწადმოქმედთა ნახევარი მომხრე იქნება მელიორაციულ გაუმჯობესებისა და ამასთანავე ერთად სამელიორაციო ამხანაგობაში უნდა შევიდნენ ხსენებულ ადგილის ყველა მიწით მოსარგებლენი.

მთელს რესპუბლიკაში სწარმოებს სამზადისი უდიდეს სამელიორაციო მუშაობისათვის. სწორედ ამიტომ, შრომის და თავდაცვის საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში, ასეთ ამხანაგობათა დიდი საჭიროება და აგრეთვე ისიც, რომ არსებულ პირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებში ამ საქმის ნაყოფიერად დაბოლოვება არ შეიძლება უკეთუ ამხანაგობათა ორგანიზაციაში მთლად არ იქნებიან ჩარეული რესპუბლიკის მიწის მოსარგებლენი—გადასწყვიტა ხსენებულ დეკრეტის გამოქვეყნება.

დეკრეტის ძალით სამელიორაციო ამხანაგობანი არსდებიან იმ მიზნით, რომ საფუძვლიანად გაუმჯობესონ სოფლის მეურნეობის ყოველნაირი დარგი და მომავალ კულტურას შეუფარდონ,—ეს გაუმჯობესება კი უნდა გამოიხატოს ერთ და იმავე დროს კულტურ-ტექნიკურ მუშაობაში ნიადაგის ამოსაშრობად, მოსარწყავად სამელიორაციო სისტემის ხელის შეწყობა და განხორციელება და სხვა.

ამავე დროს უნდა სწარმოებდეს კულტურ-ტექნიკური მუშაობა სამელიორაციო ამხანაგობათა რაიონში—წყალსაყვანთა რეგულიარიზაციისათვის, ბდინარის ნაპირების გასამაგრებლად, ხევების ამოსავსებად, რიყეების გასაწმენდად, წყლის ენერგიის გამოსაყენებლად, გამოუსადეგარი მიწების გასანოყიერებლად, მინდვრების, ბდელოების, ყორულვბისა და ჭაობიან ადგილების გასაუმჯობესებლად, წყლის მოსამარაგებელ მომართულებათა მოწყობა და სხვა და სხვა.

როგორცა სჩანს ჩამოთვლილის მუშაობიდან ამ ამხანაგობათ დასახული აქვთ ფრიად მრავალფეროვანი და ფართო გეგმა, რომლებიც შეიცავს სამიმიწისმფლობელო მელიორაციის ყოველ დარგს, რომელიც მიმართულია არა მარტო მიწადმოქმედების მოედანის გაფართოებისაკენ, არამედ მისი ღირსების გაუმჯობესებისაკენაც, და განსაკუთრებით კი წყლის ენერგიის გამოყენებისაკენ კულტურ-ტექნიკურ მიზნებისათვის.

ყველა ამ მუშაობათა წარმოება მოითხოვს უპირველეს ყოვლისა შესაფერის კადრს სპეციალისტ მელიორატორების, ჰიდროტექნიკოსებისა და აგრონომების, რაიც უეჭველად გამოიწვევს მხარეში სააგრონომიო და საჰიდროტექნიკო განვითარების გაძლიერებას განსაკუთრებით დაბალსა და საშუალოს ამ სფეროში, რაიც რუსეთში საერთოდ, უკანასკნელ ხანამდე ძლიერ უმნიშვნელოდ იყო განვითარებული.

სამელიორაციო ამხანაგობათა შემადგენლობაში უნდა შევიდეს ნახევარი იმ მიწის მოსარგებლეთა, რომელნიც სცხოვრობენ იმ რაიონში, სადაც მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ნაწილი მოისურვებს ხსენებულ ამხანაგობის დაარსებას.

ყველა სამელიორატიული ხასიათის სამუშაოს ასრულებენ საადგილ-მამულო ორგანოები, რომლებიც მოვალენი არიან უშუალო მუშაობა აწარმოონ ხსენებულ ამხანაგობაში.

მეთვალყურეობასა და ხელმძღვანელობას საადგილ-მამულო ორგანოები ანხორციელებენ სპეციალურ სამელიორაციო პერსონალის დახმარებით. ხოლო ეს ორგანოები,—თავისუფალ დროს ეწევიან პროპაგანდას თვით სამელიორატიულ მუშაობის იდეის პოპულიარიზაციისათვის. სამეურნეო საბჭოებთან ამ ნიადაგზე საქმიანი კონტაქტის დაქერით—მათ შორის სანიმუშო-საჩვენებელ უბნების განსახორციელებლად.

სამელიორაციო და წყალის მუშაობისათვის საალმშენებლო და სპეციალურ ინვენტარის უზრუნველ ყოფისათვის, დეკრეტის თანახმად, არსდება განსაკუთრებული უპროცენტო ნატურალური—და ფულის კრედიტი; შედგენილობა და რაოდენობა ნატურალურ და ფულის კრედიტისა განისაზღვრება ყოველ ცალკე შემთხვევაში საგანგებო ხელშეკრულებით სამელიორაციო ამხანაგობისა და საგუბერნიო საადგილ-მამულო განყოფილებათა შორის, სატექნიკო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის წარდგენისამებრ.

ეს კრედიტი რომელიც გაიცემა სახელმწიფოს მიერ უპროცენტოდ ნატურალურ და ფულის თანხით, სულაც არა ჰგავს იმ კრედიტს, რომელიც წინად არსებობდა სამელიორაციო კრედიტის სახით. ეს უკანასკნელი, (ძველი კრედიტი) როგორც ვიცით, საზოგადოდ ყველა კრედიტების მსგავსად, იგი უპირველეს ყოვლისა პირადი კრედიტი, ესე იგი ისეთი კრედიტი, როდესაც სახელმწიფოთავის ფულს ანდობდა განსაზღვრულ პირს განსაზღვრულ მესაკუთრეს, რომელთანაც ადგილდა ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებას, უკანასკნელისაგან მელიორაციის წარმოების ნიადაგზე თავისავე სასარგებლოდ. გარდა ამისა, თუმცა იყო აგრეთვე უპროცენტო კრედიტიც უპროცენტო სესხის სახით, რომელიც ეძლეოდა მხოლოდ მიწის მესაკუთრეს, რომლის რაოდენობაც არ უნდა აღმატებოდა მამულის ღირებულების 75%-ს და ბოლოს ეს კრედიტი ნატურალური კი არ იყო, არამედ მხოლოდ ფულით.

უკვე ის წესი, რომ კრედიტი უნდა ყოფილიყო პირადი და შესაფერისი ქონების კაპიტალისა და ამავე დროს არ უნდა აღმატებოდა მისი ღირებულების 75%-ს უსპობდა მას მთავარ მიზანშეწონილობას. მართლაც და რისი გაკეთება შეუძლიან ცალკე მესაკუთრეს თავისი მცირე მამულის ღირებულების 75%-ის კრედიტით, მაშინ, როდესაც მელიორაცია მოითხოვს დიდი ხარჯების გაღებას?

ხოლო მსხვილ მესაკუთრეებს კი არც კი აინტერესებდათ მელიორაცია.

სწორედ ამიტომ, ხსენებული კრედიტით მიწის მესაკუთრენი ხშირად არა სარგებლობდნენ.

ხსენებული ძიზნის განსახორციელებლად დეკრეტი ავალებს მიწადმოქმედების კომისარიატს—თავისი ადგილობრივის და ცენტრალური ორგანოების საშუალებით უზრუნველჰყოს ფულით სამელიორაციო ამხანაგობათაგან განზრახული უახლოესი სამუშაოები, რისთვისაც მიწადმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში უნდა გადაიდოს კრედიტი 2000 მილიონი მანეთისა.

საალმშენებლო და სპეციალ ინვენტარით მომარაგება უნდა ხორციელდებოდეს მიწადმოქმედების კომისარიატის წარმოებითი პროგრამისა, განცხადებისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომლებიც გატარებულია დაკანონებულის წესით დამკრავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოს უფლებით სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური კავშირის და უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ორგანოთა საშუალებით.

რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ ერთბაშად გადასდო რა დიდი თანხა ორი მილიარდის რაოდენობით და აღიარა რა ეს სამუშაო დამკრავ სამუშაოდ, გვაჩვენა თუ რამდენად მნიშვნელოვანად და აუცილებლად სთვლის იგი სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსების იდეის განხორციელებას.

ექვი არ არის ახლო მომავალში, საჭიროების მიხედვით ასეთი თანხის გადადება განმეორდება და გადიდდება კიდეც სამელიორაციო ამხანაგობათა რიცხვის გამრავლებასთან ერთად.

სამელიორაციო ამხანაგობათ უფლება აქვთ თავიანთი კავშირების საშუალებით პირობით შეეკრან ცალკე ფაბრიკებსა და ქარხნებს სამელიორაციო მინდვრებიდან მიღებულ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა ნაწილის გაცემის შესახებ, ხსენებულ მინდვრებზე მელიორაციისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალების სამაგიეროდ, და აგრედვე მოსავლის ერთი ნაწილის გაცემის შესახებ—განსაზღვრული დროის განმავლობაში სამელიორაციო მინდვრების სრულის ტეხნიკურად შეიარაღების ან არსებულ სარწყავ და საშრობ სისტემათა შეცვლის სამაგიეროდ. თუმცა ასეთი ხელშეკრულებანი სამელიორაციო ამხანაგობათ არ ანთავისუფლებს სასურსათო გადასახადისაგან.

ამრიგად, დეკრეტი აძლევს რა ნებას სამელიორაციო ამხანაგობათა კავშირს სხვა ამხანაგობებთან განსაზღვრულ ხელშეკრულების დადებისას და ერთურთშორის შეთანხმებისას და აგრედვე ცალკე ფაბრიკებსა და ქარხნებსაც, ამით იგი ანიჭებს მათ იურიდიულ პირთა უფლებას, რომელთაც დამოუკიდებლად შეუძლიანთ დასდონ პირობა, ხელშეკრულება და სხვა და სხვა. ეს კიდევ ცოტაა, ეს ამხანაგობანი წარმოადგენენ უძლიერეს თვითკმარ სამეურნეო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ ყველა აუცილებელი მასალები და ხელსაწყოები და თვით სრული ტეხნიკური მომართულობა—სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა სამაგიეროდ ან და მოყვანილ მოსავლის ნაწილის სანაცვლოდ.

რაღა თქმა უნდა ასეთი ხელშეკრულებანი მწარმოებელთა და მომხმარებელთა; ამ შემთხვევაში მუშებისა და გლეხებისა, სოფლისა და ქალაქის, საუკეთესო თავდებია ამ იდეის განხორციელებისა და ცხოვრებაში გამართლებისა.

სამელიორაციო ამხანაგობანი უნდა მოეწყოს სასწრაფოდ და ამასთანავე ერთად მასსიურ მასშტაბში.

ამ დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ მთელი თვალუწვდენელი მიწადმოქმედი რუსეთი გადადის თავისი განვითარების ახალ ფაზისში.

ხალხი და სახელმწიფო ხელს აძლევენ ერთმანეთს მხარეში უდიადეს ინტენსიური სამიწადმოქმედო კულტურას, ვინაიდან მელიორაციის შემდეგ ადგილი აღარა აქვს ძველს ექსტენსიურ კულტურას, ძველს, მამა-პაპურ ადათებს მიწეს-ჩიჩქნისას და სხვას აღარა აქვთ ადგილი.

მათი ადგილი უნდა დაიჭიროს ახალმა, უფრო რაციონალურმა, უფრო შემოსავლიანმა მიწათმოქმედების მეთოდებმა, რომელმაც უნდა გარდაჭქმნან რუსეთი უძლიერეს და უმდიდრეს სამიწათმოქმედო ქვეყანად.

სამელიორაციო მუშაობის წარმოების შესახებ აღძრულ ყოველ დავას იმ პირთა შორის, რომელთა ინტერესებიც პირდაპირ ეხება ამ საკითხს, სწყვეტენ საადგილმამულო ორგანოები—დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით.

რა თქმა უნდა, გლეხთა შორის მელიორაციის პროპაგანდა და პოპულიარიზაცია, ამ უკანასკნელის გაკნობა მასთან, განმარტება გლეხებისათვის მისი აუცილებელი საჭიროებისა, სარგებლიანობისა და შემოსავლიანობისა—უპირველესად ევალებათ იმ ორგანოებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ ამ დარგში მუშაობის ხელმძღვანელობა და განხორციელება.

როგორც წინანდელმა გამოცდილებამ დაგვანახვა, გლეხობა ძლიერ უხალისოდა სთანხმდება სამელიორაციო მუშაობის წარმოებას, რომლის უშუალო სარგებლიანობა მათთვის მუდამ არ არის გარკვეული. ამიტომ, ხსენებულ ორგანოებს დიდი განქანათლებელი მუშაობა სჭირდებათ, რათა მოსტეხონ მათი ჯიუტი კონსერვატიზმი და უნდობლობა, რასაც გლეხები, როგორც წვრილი მესაკუთრენი, ჰხვდებიან ხოლმე ყოველ ახალ ფორმას.

თვით შესაფერისი კრედიტების გახსნაც კი, ყოველთვის არ აღვიძებდა წვრილ მესაკუთრეთა შორის თვით მოქმედების ხალისს, თუ ისინი დაწყებულ მუშაობაში არა ჰხედავდნენ თავის უშუალო სარგებელს.

თუ უზარმაზარი რუსეთისათვის, რომელსაც დაუშრეტელი რესურსები და თვალუწვდენელი სივრცე აქვს, თუ მის აღუარაცხველ მცხოვრებთათვის, რომელთა შორის უკვე გაიღვიძა დამოუკიდებელმა შემოქმედებითი შრომისა და თვითმოქმედების უნარმა, მელიორაციასა და სამელიორაციო ამხანაგობებს, მათს მუშაობასა და განვითარებას აქვს ასეთი უდიდესი მნიშვნელობა, უფრო მეტის თქმა შეიძლება საქართველოზე.

საქართველო პატარა კუთხეა თავისი წვრილი ექსტენსიური მეურნეობით და მისთვის უდიდესი და ღრმა მნიშვნელობა აქვს სამელიორაციო ამხანაგობათა შექმნას.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მით უმეტეს ეხლა, ვინაიდან ამას წინად დასრულებულმა ეკონომიურმა თათბირმა მიზნად დაისახა მთელი რიგი სამელიორაციო მუშაობისა, მთელი კავკასიისათვის, ფართო მასშტაბით.

ქვეყნის მეურნეობის გასაუმჯობესებლად ამ სამუშაოთა შესრულება რაიც უნდა გამოიხატოს უმთავრესად უხარმაზარ უწყლო ადგილების მორწყვაში, როგორც საქართველოში კერძოდ, ისე კავკასიაში საზოგადოდ, სახელმწიფოსაგან მოითხოვს მთელს მის ეკონომიურ საშუალებათა ამოძ-

რავებას, რაიც არსებული პირობებისა გამო ძლი-ერ მძიმე მდგომარეობაშია ჩაყენებული.

რა თქმა უნდა საქართველოს მკვიდრებნი, რომელთა კეთილდღეობის მიზნითაც არის გამოწვეული განზრახული ყველა სამელიორაციო მუშაობა, უნდა დაეხმარონ მოვალრობას ამ დიად საქმეში. ამ სამელიორაციო ამხანაგობებში უნდა გაერთიანდნენ აგრეთვე საქართველოს ყველა მიწათმოსარგებლენიც.

რასაკვირველია მათი წარმოშობისა და განვითარების პირობები შეიძლება როდინამე სხვანაირი იყოს, უკეთუ მხედველობაში მივიღებთ წვრილმან სპეციფიურ მიზეზებს, მაარამ რაც არ უნდა იყოს, მათი განხორციელება აუცილებელია. ვინაიდან მხოლოდ მიწის მოსარგებლე გლეხობის ასეთი თვითმოქმედება არის თავდები სახელმწიფოში მეურნეობის განვითარებისა.

ვინაიდან ეკონომიურმა თათბირმა სამელიორაციო მუშაობათა დაწყება განიზრახა ზოგად, კავკასიის მაშტაბით, ამიტომ რასაკვირველია ასეთი ამხანაგობანი უნდა დაარსდნენ კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიაც. ამ უკანასკნელთა გაერთიანებული ამხანაგობანი კონტაქტში შევლენ საქართველოს სამელიორაციო ამხანაგობათა ორგანიზაციებთან და ამ რიგად, თათბირის მიერ დასახული სამელიორაციო მუშაობა ჰპოვებს სწრაფსა და რაციონალურ განხორციელებას.

კერძოდ საქართველო ყველა სხვა ქვეყანაზედ უფრო მეტად საჭიროებს სამელიორაციო ამხანაგობათა დაარსებას. ჩვენი ქვეყნის მკვიდრებთა 85%-ს შეადგენენ მიწადმოქმედნი, რომელთა შორის უმრავლესობა ½-დან 5 დესეტინამდე მიწის მქონე წვრილი მესაკუთრენი არიან.

საქართველოში მომხდარ გადატრიალების შემდეგაც კი, რომლის მეოხებითაც გლეხობის განკარგულებაში გადავიდა ყოფილ მემამულეთა მიწები და აგრეთვე სახაზინო მამულების ნაწილი, მაინც ვერ გაფართოვდა გლეხთა მიწათმფლობელობა. და დღესაც ბევრს არა ჰხვდება იმაზედ მეტი მიწა, რაც წინად ხვდებოდა სულზე.

ძველი ხარჯის გამწერი უწყების ცნობათა მიხედვით საქართველოს ტერიტორიის 7,210 ათასი დესეტინა მიწა განაწილებულია შემდეგნაირად:

განოყიერებული მიწები: — სულ
ტფილისის გუბ. 2 300 დეს.—899 ათასი დეს.
ქუთაისის გუბ. — 958 დეს.—353 „
სოხუმის ოლქი—254 დეს. 83 „
უმაღლესი კულტურული მამულები:
საშუალოდ კომლზედ:
ტფილისის გუბ.—5,34
ქუთაისის გუბ.—1,99
სოხუმის ოლქ.—3,05

ეს ციფრები სრული არ არის და სისწორით ვერ გამოხატავენ მკვიდრებთა სილარიბეს მიწის მხრივ.

უფრო ნათელი იქნება ჩვენთვის ამ ციფრების მნიშვნელობა, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ადგილებში მეტად ექსტენსიური კულტურით სწარმოებს მუშაობა და მიწადმოქმედების იარაღები მოძველებული და გამოუსადეგია.

რუსეთის ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის ცნობით ხუთი წლის განმავლობაში 1909—1913 წლებში საქართველოს მთელი ნათესის სივრცე ფლობდა 711 დეს., რომელიც საშუალოდ იძლევა 33,4 ათას ფუთ პურს, რაიც შეადგენს 47 ფუთს დესეტინაზე.

ეს უკანასკნელი ციფრი უსათუოდ გადამეტებული არის და ნამდვილი საქმის ვითარება ჩვენ შეგვიძლიან გავარკვიოთ შემდეგი შედარებიდან:

მოსავალი ერთ დესეტინაზე ფუთობით.

	საქართველო	გერმანია	ბელგია	დანია
ხორბალი	45—55	131	162	196
ქერი	55—65	130	170	164
სიმინდი	60—90	—	—	—

აქედან აშკარა არის, რომ მხოლოდ ძველი ექსტენსიური სისტემის გამო ხდება, რომ საქართველო, რომელიც უმდიდრეს კუთხეს წარმოადგენს თვისი ბუნებრივი და კლიმატიური თავისებურობით, სამჯერ ნაკლებ მოსავალს იღებს შედარებით იმ ქვეყნებთან, რომელთა ბუნებრივი პირობები გაცილებით ცუდია.

მხოლოდ გრანდიოზულ სამელიორაციო გეგმების გატარებით, რომელთა განხორციელება უნდა მოხდეს მიწის-მოქმედთა სამელიორაციო ამხანაგობებში შეკავშირებით და მათი გაერთიანებით კავკასიის რესპუბლიკების ასეთივე ამხანაგობებთან,—შესაძლებელია როგორც გაფართოება მიწის სივრცისა, ისე გაუმჯობესება მისი ხარისხისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურისა.

ასეთი ამხანაგობების შექმნა,—საერთო კავკასიის მაშტაბით ისე, როგორც მელიორაციის გეგმისა, რომელიც მიღებული იყო თათბირის მიერ,—უნდა იყოს სადღეისო საქმე; თუ ეს საქმე არ იქნა მოგვარებული, ჰაერში ჩამოკიდებული და სინამდვილეში განხორციელებელი დარჩებიან ყოველი კეთილი განზრახვანი, დადგენილებანი და რეზოლიუციები თათბირისა.

სახელმწიფოს ძალიან ბევრი მიმდინარე საქმეები აქვს, ამასთანავე იგი ფრიად სუსტია და მას, ამ საქმით დაინტერესებულ მკვიდრებთა დაუხმარებლად არ შეუძლიან ამ საქმის მოგვარება.

ქართულ პრესაში ამ ჟამად ხშირად გაისმის ხმები ეკონომიურ თათბირის გეგმების და რეზოლიუციების ცხოვრებაში გატარების დაგვიანების შესახებ, მელიორაციის იდეის აგიტაციის და პოპულიარიზაციის აუცილებლობის შესახებ.

სამელიორაციო ამხანაგობების შექმნა უსათუოდ დასძრავ ამ საქმეს მკვდარ წერტილიდან, ფართოდ გაავრცელებს ამ იდეას მიწის—მომქმედთა შორის და დასაბამს მისცემს საქართველოს და საერთოდ კავკასიის მიწად—მოქმედების ახალ ერას.

ლ. ს—ი

კითხვა-პასუხი

კითხვა

თემის რომელიმე უბანს მაგ. 50 კაცის ხელმოწერით გამოაქვთ ასეთი დადგენილება: ესა და ეს კაცი, როგორც მავნე ელემენტი უბანში, იქმნას დატყვევებული ადმინისტრატიული წესით 1, 2, ან 3-თვით, და სთხოვს თემის რევკომს დაუყონებლივ მოიყვანოს სისრულეში დადგენილება. გთხოვთ გაგვინმარტოთ: აქვს თუ არა უფლება რევკომის თავმჯდომარეს ან მის ამხანაგს, რომ ეს დადგენილება არ მოიყვანოს სისრულეში.

პასუხი

რევკომის თავმჯდომარეს რასაკვირველია შეუძლია არ მოიყვანოს სისრულეში არც ერთი დადგენილება მოქალაქეთა. მხოლოდ თუ დადგენილება კანონიერია თავმჯდომარე პასუხს აგებს მის შეუსრულებლობაში. თუ კი უკანონოა დადგენილება, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება ხელმოწერილია 50 ან მეტის მიერ, თავმჯდომარე ვალდებულია არ მოიყვანოს იგი სისრულეში. ამ შემთხვევის დროს მხედველობაშია მისაღები სხვა და სხვა მოტივი: რით იხელმძღვანელეს მოქალაქეებმა, რა საბუთი ჰქონდათ, ხმები, თუ უტყუარი ცნობები, რა ზომებია გადაწყვეტილი კანონით, უმაღლესი მთავრობით და სხ. ყოველ შემთხვევაში რევკომის თავმჯდომარე ვალდებულია დიდის სიფრთხილით, სიდინჯით და მიუდგომლად მოეკიდოს საკითხის გადაჭრას.

კითხვა

ძველი წყობილების დროს სოფლის საზმართველოში ამტკიცებდნენ როგორც ძმების, ისე ყერძო პირების საზიარო ქონების გაყოფის პირობითი ხელწერილს. გთხოვთ გვაცნობოთ, აქვს თუ არა უფლება თემის რევკომს ანდა ადმინისტრაციის დამტკიცოს ასეთი ხელწერილი?

პასუხი

რევკომი, არის უმაღლესი ორგანო, ოფიციალური ხასიათისა ადგილობრივ. მაშასადამე მის მიერ გაცემული ყოველგვარ ქაღალდს, რომელიც ადასტურებს, ან უარყოფს რომელიმე მოვლენას, აქვს საბუთის ხასიათი. მაგალითად მოწმობა ცხენის გაყიდვის, ან იმის რომ რომელიმე საქონელი ეკუთვნის ამა თუ იმ პირს და სხ. ასეთი საბუთით მისი მქონე ამტკიცებს თავის უფლებას. რევკომს, მაშასადამე, ცხადია, აქვს უფლება და ვალდებულიც არის, საჭიროების დროს ასეთი საბუთები გასცეს, თუ კი მთხოვნელი კანონიერ და უდაო მოსაზრებათა წარმოადგენს რევკომში ან მთავრობის სხვა ადგილობრივ ორგანოში. ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს შემდეგი: შეკითხვაში ნათქვამია, რომ ძველად ამტკიცებდენ სოფლის სასამართლოში საზიარო ქონების გაყოფის პირობითი ხელწერილს. რევკომს შეუძლია მხოლოდ დაადასტუროს ფაქტი გაყოფისა ე. ი. პირობის წერილზე დააკრას ბეჭედი და სხ. ავიღოთ მაგალითი: ორმა ძმამ გაიყო მიწა, ნორმაში დატოვებული და პირობის წერილში აღნიშნა ორივე მხარემ, რომ ერთს ამდენი ერგო, მეორეს ამდენი. ამ წერილს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, კერძო საკუთრების უფლების დასადასტურებლად, რადგან თუ რომელიმე მათგანმა ხვედრი მიწა არ დაამუშავა თითონ, მიწა ჩამოერთმევა, თანახმად დეკრეტი № 17-ისა. გაყიდვა, გაჩუქება და სხ. მისი არ შეუძლია კანონის ძალით, რადგან ეს აკრძალულია. მაგრამ რევკომის მიერ ბეჭედ დაკრული წერილით, შეიძლება მომავალში მფლობელობის, ან სარგებლობის, ან მემკვიდრეობის, (კანონის ფარგლებში) ამ უფლების გადაცემის დროს, დამტკიცებულ იქნეს სასამართლოში საძიებელი უფლება.

ამ რიგად რევკომს, აქვს უფლება, შეამოწმოს პირობითი წერილი; ამით არაფერი არ დაშავდება, მაგრამ ეს საკანონმდებლოც არაა. რასაკვირველია უმჯობესი და უფრო მიზან-შეწონილი იქნება ზევით დასახელებული წერილის სახალხო მოსამართლეს მიერ დამტკიცება.

კითხვა

თემის უბანში მოხდა რაიმე შემთხვევა: მკვლელობა გინდ დაკარგვა რისამე. უბანი აბდენს მასიურ კრებას კომისარის (ალბათ მილიციის უფროსის. რედ) თანდასწრებით და ყოველივე უტყუარი ნიშნებით ხალხს გამოყავს დამნაშავე და გამოაქვთ დადგენილება, რომ დამნაშავე პირს გადახდეს მოკლულის ან გაქურდულის ოჯახის სასარგებლოთ ამდენი და ამდენი მანეთი. და ამ დადგენილებას უგზავნის თემის რევკომს სისრულეში მოსაყვანათ. გთხოვთ გაგვიმარტოთ, აქვს უფლება თემის რევკომს, განსაკუთრებით თავმჯდომარეს გინდ მის ამხანაგს, რომ პირადი მისი შეხედულებით ეს ქაღალდი არ გადასცეს სახალხო სასამართლოს სისრულეში მოსაყვანად, დატოვოს უყურადღებოთ და ამბობდეს: მე თუ ვსცნობ საჭიროდ მაშინ მივსცემ ქაღალდს მსვლელობას და თუ არა, მაშინ უყურადღებოთ დარჩებაო?

პასუხი

ამ შეკითხვის საპასუხოდ უნდა ითქვას თითქმის იგივე, რაც პირველის შესახებ არის აღნიშნული მხოლოდ შემდეგი განმარტებით: რევკომი მოვალეა აღასრულოს ისეთი დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილება, თხოვნა თუ შუამდგომლობა ადგილობრივ მცხოვრებთა, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს. წინააღმდეგ შემთხვევაში თითონ აგებს პასუხს კანონის წინაშე. მაგრამ თუ რევკომს წარედგინება ისეთი თხოვნა, რომელშიც აშკარად სჩანს ნიშნები ბოროტმოქმედების, მისი ჩამდენიც აღნიშნულია, არც რევკომს, არც მის თავმჯდომარეს და ამხანაგს, არა აქვს უფლება, შეაჩერონ საქმის მსვლელობა. ხელისუფლების ორგანო ვალდებულია ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილის, ან ბოროტმოქმედის წინააღმდეგ მიიღოს წინასწარი ზომები, რომ სამართალს თავი არ დააღწიოს და საქმე კი გადასცეს დაუყონებლივ სათანადო სასამართლოს ორგანოს (რომლის კომპეტენციასაც შეადგენს საქმის არსებობად გარჩევა), მაგრამ არა შესასრულებლად, როგორც ამ შეკითხვაში სწერია, არამედ გასარჩევად და სათანადო განაჩენის გამოსატანად. სასამართლოს ორგანოები სარგებლობენ დამოუკიდებლობით.

კითხვა

როგორც გაზეთი კომუნისტში დაბეჭდილი იყო, წისქვილები დაბეგრილია მთავრობისშიერ 15 %, მაგრამ მიუხედავათ ამისა აბაშის თემის რევკომი, სენაკის მაზრის რევკომის კარნახით ბეგრავს წისქვილებს 25 %, ესე იგი, მიაქვს შემოსულიდან ერთი მეოთხედი; ეს რამდენათ კანონიერია, და თუ დეკრეტი არის გამოსული რომ 15% დაიბეგროს, რაზე სენაკის მაზრის რევკომს სისრულეში არ მოყავს?

პასუხი:

საქართველოს რევკომის დადგენილება № 53 (იხ. შ. ს. ს. კომისარიატის „მოამბე" № 14) მუხ. 1, კათეგორიულად განსაზღვრავს ბაჟის რაოდენობას. იგი ამბობს: „წისქვილის საერთო შემოსავალს, რომელსაც წისქვილის პატრონი მიიღებს ნატურად, დაედოს 15% რაოდენობის გასახადი." ამ მუხლში მოხსენებულის ზევით ბაჟის დადება, აკრძალულია და ყველა ვინც ამას ჩაიდენს, ის არღვევს კანონს, რისთვისაც პასუხის მგებელია საერთო წესისამებრ.

კითხვა

თემში მოქალაქობრივი აქტების საწარმოოთ შეიძლება თუ არა დაარსდეს ცალკე მაგიდა გამგით და მდივნით, რევკომის თანაბრად წევრებთა შტატში ჩარიცხვით, რადგანაც აღნიშნულ საქმეს, როგორც რთულს, აუცილებლათ ესაჭიროება ცალკე შტატი თემში.

პასუხი:

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წარმოება, სავსებით მინდობილი აქვს ადგილობრივ რევკომს. თუ რევკომი საჭიროდ დაინახავს ცალკე მაგიდის, სათანადო შტატით მოწყობას, მას ამის უფლება აქვს. თუ კი საჭიროდ არ სცნობს ან ეს ტეხნიკურად შეუძლებელია, მაშინ საერთო წესით აწარმოებს მას. პირველ შემთხვევაში სათანადო შტატი უნდა იქნეს შეტანილი როგორც თემის, აგრეთვე მთელი მაზრის ხარჯთაღრიცხვაში.

შეცდომის გასწორება

„მოამბის" მე-17 №-ში მოთავსებულ „შეკითხვებში" შეპარულია სამწუხარო კორექტურული შეცდომები: 1) მე-31 გვერდზე დაბეჭდილ პირველი პასუხის მეექვსე სტრიქონში დაბეჭდილია: „ეს სრულებით **არ ეწინააღმდეგება** მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებას", უნდა იყოს: **„ეს სრულებით არ ეინტერესება მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებას"**.

2) მეორე პასუხის მეორე სტრიქონში დაბეჭდილია: „ჯვრის წერა შეიძლება **თვით პირისთვის** სამჯერ" უნდა იყოს: **„თითო პირისთვის** სამჯერ".

3) ამავე პასუხის მე-20-ე სტრიქონში დაბეჭდილია „რასაკვირველია არა კანონიერ ქორწინებას და განქორწინებას ახდენს მ. მ. ა. ჩამწერი განყოფილება", უნდა იყოს: **„რასაკვირველია არა**. კანონიერ ქორწინებასა და განქორწინებას ახდენს მხოლოდ მოქალაქობრივ აქტების ჩამწერი განყოფილება„ და სხ.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მე-XVII-ე №-ში მოთავსებულ მასალებისა:

1) დეკრეტი № 68 საქ. რევ. კომიტეტისა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპ. სახალხო ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ.

2) „ № 69 საქ. რევ. კომიტეტისა შარაგზით ტვირთ ზიდვის ბეგარის შემოღების შესახებ.

3) „ № 70 საქ. რევ. კომიტეტისა მევენახეობის პროდუქტების ნატურალურ გადასახადის შესახებ.

4) „ № 71 საქ. რევ. კომიტეტისა კართოფილის და ბოსტნეულის ნატურალურ გადასახადის შესახებ.

5) „ № 72 საქ. რევ. კომიტეტისა ხილის ნატურალურ გადასახადის შესახებ.

6) „ № 73 საქ. რევ. კომიტეტისა ხორცის ნატურალური გადასახადის შესახებ.

7) „ № 74 საქ. რევ. კომიტეტისა რძის პროდუქტების ნატურალური გადასახადის შესახებ. გვ. 1-16

8) ბრძანება № 81 საქ. რევ. კომიტეტისა კავკასიის ცალკე არმიის დაარსების წლისთავის შესრულების გამო დღესასწაულის მოწყობის შესახებ. გვ. 16—17.

9) დადგენილება შინ. საქ. სახ. კომისარიატისა.

10) ცირკულიარი ყველა სამაზრო რევკომს.

11) „ ყველა მაზრის, ქალაქის და ბათომის მხარის რევკომებს.

12) ცირკულიარული ბრძანება მაზრისა და ქალაქის რევკომებს. გვ. 17—19.

13) ნორმალური წესდება სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელ კომუნისა. გვ. 19—22.

არა ოფიციალური განყოფილება.

14) შეცდომის მაგალითები გვ. 22—23.

15) სასურსათო გადასახადის კომპანია საქართველოში. გვ. 23—27.

16) ლტოლვილებს მოძრაობა და მათი რევაკუაციის საქმე ჩვენში გვ. 27-28.

17) ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. გვ. 29—30.

18) შეკითხვები გვ. 30—31.

19 კითხვა-პასუხი გვ. 31.

ნ. დ. ს. ც. ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. ტირაჟი—3000.